განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება.**

**საყდრის საბავშვო ბაღი**

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ***ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე***

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ***ნინო მამრიკიშვილი***

კვების დარგში ექსპერტი: ***მირანდა გორგილაძე***

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ***შოთა მახარაძე***

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება. |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 234065613 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | საყდრის საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | საქართველო, ლენტეხი, თამარ მეფის ქ. 54 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | რაიონი ლენტეხი, სოფელი საყდარი |

| | |
|---|---|
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი *(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის ბრძანება MES 6 26 0000230350 |
| ვიზიტის პერიოდი *(თარიღი)* | 2026 წლის 18-19 მარტი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

| **6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ** |
|---|
| საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს. |

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | 1.ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ ;<br>2.სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ | ქართული | | 15 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒<br>არ ეთანხმება ☐ |
| | | | | | |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

‚ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისასდა განათლების დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სტატუსის მაძიებელში - ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში ვიზიტის შესახებ”  სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის N230350 ბრძანების  შესაბამისად შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: ემილია გაბრიაძე-კაკაბაძე - (ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე); ბ) ნინო მამრიკიშვილი - (კურიკულუმის ექსპერტი, წევრი); გ) მირანდა გორგილაძე - (კვების დარგში ექსპერტი, წევრი); დ) შოთა მახარაძე - (სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტი, წევრი)  განახორციელა ვიზიტი სტატუსის მაძიებელ, ა(ა)იპ - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების, საყდრის  საბავშვო ბაგა-ბაღში 2026 წლის 18-19 მარტს. ექსპერთა ჯგუფს დავალებული ჰქონდა „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების (შემდგომში - დროებითი წესი) მე-6 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის ფარგლებში საქმიანობა განახორციელა წინასწარ შედგენილი გრაფიკის-დღის წესრიგის მიხედვით. თითოეული სტანდარტის, კომპონენტის, კრიტერიუმის და ინდიკატორის მიხედვით შეფასებული იქნა ყველა საკითხი. შედგა ინტერვიუები, მოხდა დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა - შეფასება, სივრცის ვიზუალური დათვალიერება, ვიზიტის ბოლოს გამოითქვა ძირითადი მიგნებები.

ვიზიტი შედგა მშვიდ და საქმიან გარემოში. დასრულდა იგი პოზიტიური მოლოდინებით და მზაობით ცვლილებებისადმი. მომდევნო ეტაპზე ჯგუფის წევრებმა მოამზადეს თავიანთ კომპეტენციას მიკუთვნებული მიმართულების დასკვნა, რომელიც აისახა ერთიან ფორმაში - ,,ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა“.

1. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა პირველი სტანდარტი, მე-4 სტანდარტის პირველი, მე-2, მე-3, მე-6 და მე-7 კომპონენტები;
2. კურიკულუმის ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-2 სტანდარტი და მე-3 სტანდარტი;
3. კვების დარგში ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-4 კომპონენტი;
4. სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ექსპერტის მიერ შეფასებულ იქნა მე-4 სტანდარტის მე-5 კონპონენტი;

შედეგი ასეთია:

**პირველი სტანდარტი** ექსპერტების მიერ **შეფასდა სრული შესაბამისობით და დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ პირველი სტანდარტის შეფასებას;

**მე-2 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **მეტწილად შესაბამისად** და **არ დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-2 სტანდარტის შეფასებას, რომელიც შეფასებული აქვთ სტანდარტთან შესაბამისად;

**მე-3 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **მეტწილად შესაბამისად** და **დაემთხვა** დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით წარმოდგენილ მე-3 სტანდარტის შეფასებას;

**მე-4 სტანდარტი** ექსპერტების მიერ შეფასდა **ნაწილობრივ შესაბამისად** და ის დაემთხვა დაწესებულების თვითშეფასების ფორმის მიხედვით მე-4 სტანდარტის შეფასებას.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| სტანდარტი/კომპონენტი | დაწესებულების თვითშეფასება | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
| ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა[2]<br>*პროგრამის სახე:* სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა<br>*კურიკულუმ(ებ)ის დასახელება:* 1.ადრეული განათლების კურიკულუმი “თამაში“ ;<br>2.სასკოლო მზაობის პროგრამა “თამაში“ | | |
| 2. კურიკულუმი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |

## ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა

| | | |
|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** | ☐ **შეესაბამება**<br>☐ **მეტწილად შეესაბამება**<br>☒ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | ☐ არ შეესაბამება | ☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია 12

1.2. სტრატეგიული განვითარება 16

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა 23

2.2. კურიკულუმის განხორციელება 30

2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება 48

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა 51

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება 54

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება 59

4.2. პროცესების მართვა 76

4.3. მატერიალური რესურსი 80

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი 80

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები 80

4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება 81

4.7. ფინანსური რესურსი 91

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი **,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10), რომელშიც გაწერილია დაწესებულების მისია. მისია შემდეგნაირად ჟღერს: **,,ლენტეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები თითოეული ბავშვისათვის უზრუნველვყოთ უსაფრთხო, მზრუნველი, და განვითარებაზე ორიენტირებული სკოლამდელი გარემო, სადაც თანაბრად ხელმისაწვდომია ხარისხიანი სერვისი“**

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მისიით გასაზღვრულია მისი შინაარსობრივი მოთხოვნა, ძირითადი დანიშნულება. იგრძნობა ინსტიტუციურად მდგრად განვითარებაზე ორიენტირება, მისიაში ჩანს  დაწესებულების იდენტობა და ძირითადი მიზეზი და მიზანი, რისთვისაც საერთოდ არსებობს ეს დაწესებულება. მოიცავს თემებს - ბავშვის განათლება, გონებრივი და ფიზიკური განვითარება, უფლებები და თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა. წარმოდგენილ მისიაში იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე აქცენტი, გამოკვეთილია დაწესებულების როლი, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული სივრცე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე  ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში -**„ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“** („ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10), ხედვა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: **„2030 წლისათვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღები იქნება სატანდარტებთან შესაბამისი უსაფრთხო და ინკლუზიური დაწესებულება, სადაც ბავშვთა განვითარების ხარისხი და მშობელთა კმაყოფილება იქნება მაღალი“.**

ეს არის მოკლე და მკაფიო განაცხადი, რომლითაც განსაზღვრულია დაწესებულების განვითარების საშუალოვადიანი მიზანი და მისწრაფებები. გამომდინარეობს მისიიდან, არის მარტივად გასაგები და მოტივაციის მიმცემი.

დაწესებულებას ჩამოყალიბებული აქვს ძირითადი სამოქმედო პრინციპები ღირებულებების სახით. ესენია: **1. ბავშვთა საუკეთესო ინტერესი. 2. თანასწორობა და ინკლუზია. 3. უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. 4. მშობლებთან თანამშრომლობა. 5. გამჭვირვალე და პასუხისმგებლიანი მართვა. 6. ადგილობრივი თემის მხარდაჭერა.** სწორედ ამ ღირებულებებზეა დაფუძნებული დაწესებულების მიერ შექმნილი პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბების ნაწილში. ჩანს დაწესებულების იმიჯი და საზოგადოებას უყალიბებს შესაბამის მოლოდინებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................................

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები, მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების, მასში მონაწილე დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და საბოლოო ჩამოყალიბების პროცესები. განსაზღვრული აქვს დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი. მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია მისია, ხედვა და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების პროცესებზე პასუხისმგებელი პირი. დაწესებულებას მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს **,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნის თაობაზე“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანება N 1** და აღნიშნული ჯგუფის 2026 წლის 16 იანვრის შეხვედრის სხდომის ოქმი N 1; ოქმში ჩანს, რომ განხილული აქვთ საკითხები: სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის, მისიის, ხედვის და ღირებულებების მნიშვნელობაზე დაწესებულებისათვის, მისი შემუშავება და საბოლოოდ ჩამოყალიბება, გაზიარების ფორმები და ადგილი. განიხილეს სხვადასხვა ვერსიები და მოხდა საბოლოო ჩამოყალიბება წარმოდგენილი სახით. წარმომადგენლობითი ჩართულობა დადასტურებულია ხელმოწერებით. წარმოდგენილ დოკუმენტში არის ასეთი ჩანაწერი: ,,ჩვენ კოლეგიალურად და დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობით ვთანხმდებით მისიის, ხედვის და ღირებულებების შინაარსზე, რომელიც შემუშავდა და დაიწერა ღია და გამჭვირვალე პროცესში“.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................

## 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტში **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი“** („ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) გაწერილია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებულ მხარეებისათვის გაზიარება და საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) ელექტრონული ფოსტა;

ბ) სოციალური მედია;

გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები)

დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები)

საბოლოოდ ჩამოყალიბებული მისიის, ხედვის და ღირებულებების დაინტერესებული მხარეებისათვის გაზიარების და საჯაროდ ხელმისაწვდომობის მექანიზმები გამოიხატება დაწესებულების შენობაში ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებაში და სოციალური ქსელით საჯაროდ გაზიარებაში. რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **„ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“** („ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10)
2. **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** („ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4)
3. **„ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნის თაობაზე“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანება N 1;**
**4.** 2026 წლის 16 იანვრის შეხვედრის სხდომის ოქმი N 1;
5. ვიზიტის დროს მოპოვებული ფოტო მასალები და ინტერვიუები;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება
## 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილ დოკუმენტში . **„სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** („ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) გაწერილი აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია/წესი და პროცესები. ეს დოკუმენტი ფარავს როგორც მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება/გაზიარების საკითხებს

(რომელიც აღწერილია 1.1. კომპონენტის აღწერაში), ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება/გაზიარება/დამტკიცება/მონიტორინგი/შეფასების თემებს. შემუშავებული მეთოდოლოგიით განსაზღვრულია დაგეგმვის პროცესის ეტაპები და პასუხისმგებელი პირები, ჩართული მხარეები და გაზიარების გზები, პროცესის წარმართვის ჯგუფის შექმნა და მისი მუშაობის წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათში ცვლილებების შეტანის წესი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი, ანგარიშგების საჯაროობის უზრუნველყოფა.
სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"-ს** შესაბამისად შექმნილი და წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი . **,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა"** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10).
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია
......................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................
რჩევა
......................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
......................................................................................................................................................................................................
......................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
**დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით -,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა"** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10), დასტურდება, რომ სტრატეგიული გეგმა ეფუძნება დაგეგმვის არჩეულ მეთოდს-SWOT ანალიზს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის ხუთწლიანი, სტრატეგიული გეგმის ციკლურობის დაცვა გაწერილია

მეთოდოლოგიით. სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან, რაც გამოიხატება თითოეული ბავშვის უფლებებსა და ინტერესებზე ორიენტირებულ გარემო -პირობებში ხარისხიანი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო მომსახურების მიწოდებისთვის, ბავშვის უნიკალური შესაძლებლობების და საჭიროებების გამოვლენისთვის და ბავშვის კეთილდღეობაზე ჰარმონიულ და მრავალმხრივ განვითარებისთვის ჩამოყალიბებულ 3 სტრატეგიულ მიზანში, თითოეული ჩაშლილია შესაბამისი ამოცანების სახით.
სტრატეგიული გეგმის ფორმატად დაწესებულებას შერჩეული აქვს ნარატიული სახე.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
....................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................
რჩევა
....................................................................................................................................................................................................................
....................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
....................................................................................................................................................................................................................
...................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
**სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) გაწერილია, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი სრულდება სამოქმედო გეგმის შედგენით და მუხლი 11-ით განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის პერიოდულობა, შემუშავების ეტაპები, გეგმის გაწერისათვის სავალდებულო ველები და მის შესრულებაში ცვლილებების შეტანის წესი.
მაგრამ დაწესებულებას ,,2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმის“ შესაბამისად 2026 წლის სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი არ აქვს, მისი შემუშავება/დამტკიცება გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 12 თვიან პერიოდზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**
რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ჯეროვანი შესრულება სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცების საკითხში.

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი მიმართულია სამოქმედო გეგმის შინაარსის შეფასებისადმი და განსაზღვრავს მოთხოვნებს მისი სტრუქტურისადმი. ნებისმიერი ფორმატის შერჩევის დროს დაწესებულებამ გეგმაში უნდა ასახოს ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა ინფორმაცია: სტრატეგიული მიზანი, ამოცანა, აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, ვადა, პასუხისმგებელი პირები და რესურსები.

ინდიკატორის ეს მოთხოვნები დაწესებულებას გაწერილი აქვს წარმოდგენილ დოკუმენტში - **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4), მაგრამ რამდენადაც დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი თავად დოკუმენტი - ,,სამოქმედო გეგმა“, რომლის შემუშავება/დამტკიცებაც გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 12 თვიან პერიოდზე, მოცემული ინდიკატორიც შეფასდება შესაბამისად.

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას ასევე უყენებს მოთხოვნას შეიმუშაოს შესაბამისობის გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, გეგმაში გაწერილია იდენტიფიცირებული შეუსაბამობები, მაგრამ მათ აღმოსაფხვრელად დაგეგმილი აქტივობები არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით 4.3 კომპონენტის ნაწილში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ჯეროვანი შესრულება სამოქმედო გეგმის შემუშავება/დამტკიცების საკითხში, სადაც უპირობოდ გათვალისწინებულ იქნება მოცემული ინდიკატორის მოთხოვნები.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დადასტურებას იძლევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) მუხლი 13, სადაც მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილია: სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის განხორციელება, სტრატეგიული გეგმის შეფასების განხორციელება, სამოქმედო გეგმის მონიტორინგის  განხორციელება, სამოქმედო გეგმის შეფასების განხორციელება. სტრატეგიული გეგმის მონიტერინგის განხორციელების პერიოდად განსაზღვრული აქვს მე-2, მე-5 წელს და პერიოდის ბოლოს, საბოლოო შეფასება უნდა ჩატარდეს პერიოდის დასრულებამდე 6 თვით ადრე. ხოლო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელება განსაზღვრული აქვს ყოველკვარტალურად და შეფასება წლის ბოლოს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის დადასტურებას იძლევა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები - **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი"** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4) მუხლი 15, სადაც მეთოდოლოგიის შესაბამისად გაწერილია: სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გაზიარება ანგარიშის მომზადების ფორმით. სტრატეგიული განვითარების გეგმის ანგარიში ფორმდება 2 და 5 წლის თავზე და სამოქმედო გეგმების ანგარიში წლის ბოლოს. ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით მეთოდოლოგიით განსაზღვრულია მისი განთავსება საბავშვო ბაღებში საინფორმაციო სტენდზე, ხოლო სხვა დაინტერესებული პირთათვის (მუხლი 6) პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

ა) ელექტრონული ფოსტა;
ბ) სოციალური მედია;
გ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები)
დ) ბეჭდვითი მასალები (ფლაერები)

მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოყენებას დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

### რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

### რჩევა

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

### არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*
1. **,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N10)
2. **,,სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი”** (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმვის მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის ბრძანება N4)
3. **,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური ჯგუფის შექმნის თაობაზე“ გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის ბრძანება N 1;**
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა
**5**. ვიზიტის დროს ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაცია;

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
### კურიკულუმის დასახელება
1. ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში“
2. სასკოლო მზაობის პროგრამა ,,თამაში“

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

## 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ წარმოადგინა ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N3 ბრძანება*** (აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი).

წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა;

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმის გაცნობა;

გ) კურიკულუმის/კურიკულემების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულემების დამტკიცება.

ამავე წესის მიხედვით, კურიკულუმის შერჩევის მიზნით, გაერთიანების დირექტორის ბრძანებით იქმნება კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი (მე-2 მუხლის მეორე პუნქტი). ჯგუფის მიერ ხდება ხდება კურიკულუმების შერჩევა და დასამტკიცებლად გაერთიანების დირექტორისთვის წარდგენა (მე-2 მუხლის მეოთხე პუნქტი), შერჩეული კურიკულუმები მტკიცდება დირექტორის ბრძანებით (მე-2 მუხლის მეხუთე პუნქტი).

დაწესებულებამ წარმოადგინა ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ბაგა - ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის კურიკულუმის შესარჩევად სპეციალისტთა ჯგუფის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანება.***

ზემოაღნიშნულ ბრძანებაში იკითხება რომ დამტკიცდა კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი, რომელის შემადგენლობაში შედის: გაერთიანების დირექტორი, დირექტორის მოადგილე (მეთოდური მიმართულება), მეთოდისტის დამხმარე, ოთხი სხავდასხვა საბავშვო ბაღის გამგე. ჯგუფის შეხვედრის ოქმში (**კურიკულუმის შერჩევზე პასუხისმგებელი ჯგუფის კრების ოქმი N2; 16.01.2026**) ჩანს, რომ „ა(ა)იპ

ლენტეხის მუნიციალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთანების ბაგა - ბაღებისათვის შერჩეული იქნა „ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა“.

შერჩეული კურიკულუმები დამტკიცდა ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ბაგა - ბაღებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N6 ბრძანებით.***

ამდენად, დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დეკლარირების ამსახველი დოკუმენტი, კერძოდ, ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ბაგა - ბაღებისათვის კურიკულუმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N6 ბრძანებით დამტკიცებული კურიკულუმები.***

შესაბამისად, დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმებით:

- ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში
- სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, სასურველია ყურადღება მიექცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციიული სამართლებრივი აქტის სათაურისა და მისი შინაარსის თანხვედრის საკითს, კერძოდ შესწორდეს კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის სათაური და შესაბამისობაში მოვიდეს მის შინაარსთან.

ასევე სასურველია ყურადღება მიექცეს კურიკულუმის დაგეგმვასთნ დაკავშირებული დოკუმენტაციის ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას (ჯერ შექმნილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფი - ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ ბაგა - ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით სრულყოფილად წარმართვისათვის კურიკულუმის შესარჩევად სპეციალისტთა ჯგუფის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 15 იანვრის N2 ბრძანება,*** შემდგ შემუშავებულია ***წესი - „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული***

*დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N3 ბრძანება).*

სასურველია, სხდომის ოქმი სრულად ასახავდეს ჯგუფის მუშაობის პროცესს და მოიცავდეს ინფორმაციას არა მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ამსახველ ძირითად განხილვებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი** *(დამტკიცებული ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის N5 ბრძანებით* ).
2. *დღის განრიგი*
3. *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა*
4. *ინტერვიუს შედეგები*
5. *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა*

| შეფასება: |
|---|

| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

## 2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

### 1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ წარმოადგინა დაწესებულებამ წარმოადგინა *„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N3 ბრძანება* (აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი).

დოკუმენტის მიხედვით კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ და ეს პროცესი ეფუძნება:

ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;

ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;

გ) მშობლების უკუკავშირს;

დ) საგანმანათლებლო პრესონალის თვითრეფლექსიას;

აღნიშნული რეგულაციის არსებობა მიუთითებს, რომ დაწესებულება შემუშავებული სისტემის შესაბამისად გეგმავს კურიკულუმის შეფასების ციკლურ, სისტემატურ მოდელს, რაც შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ წარმოადგინა ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N3 ბრძანება*** (აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი), რომელიც განსაზღვრავს როგორც ცვლილების საფუძვლებს, ასევე ცვლილებების განხორციელების პროცედურულ მექანიზმს (მუხლი 5.).

დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია შეფასების პროცესის შედეგად მიღებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები. დადგენილია, რომ ცვლილებები შეიძლება იყოს წერტილოვანი ან მასშტაბური ხასიათის.

წერტილოვანი ცვლილებები მოიცავს ისეთი მიმართულებების გადახედვას, როგორიცაა:

- თემატური შინაარსის კორექტირება,
- კურიკულუმის მიზნების დაზუსტება,
- დაკვირვების ახალი ინსტრუმენტების დამატება,
- საგანმანათლებლო რესურსისა და ფიზიკური გარემოს ცვლილებები,
- დღის განრიგის ან დროითი სტრუქტურის კორექტირება,
- ოჯახისა და თემის ჩართულობის მექანიზმების გაუმჯობესება და სხვა.

დოკუმენტით განსაზღვრულია, რომ წერტილოვანი ცვლილებები ფორმდება დირექტორის ბრძანებით.

რაც შეეხება მასშტაბურ ცვლილებებს, დოკუმენტი განსაზღვრავს, რომ ისინი უკავშირდება კურიკულუმის სრულად შეცვლას ან ახალი კურიკულუმის დამატებას/ამოღებას.

აღნიშნული მოწმობს, რომ დაწესებულება მიზნობრივად და სტრუქტურირებულად აფასებს კურიკულუმის შინაარსობრივ ეფექტიანობას და შემუშავებული აქვს მექანიზმები ცვლილებების დაგეგმვის, განხორციელებისა და დოკუმენტური გაფორმებისთვის.

ინტერვიუს დროს საგანმანათლებლო პერსონალი (აღმზრდელი, მეთოდისტი) აღნიშნავს, რომ მათთვის კარგად არის ცნობილი კურიკულუმში ცვლილებების განხორციელების მექანიზმი და საფუძვლები, ცვლილებები შესაძლებელია განხორციელდეს როგორც თემატიკის, დღის განრიგის ან აქტივობების შინაარსის დონეზე, ასევე უფრო ფართო მასშტაბით - მაგალითად, ახალი კურიკულუმის დანერგვით. პერსონალი აცნობიერებს, რომ ასეთი ცვლილებები უნდა ეფუძნებოდეს შეფასების შედეგებს, დაკვირვებებს, მშობლების უკუკავშირსა და საკუთარ პრაქტიკაზე დაფიქრებას. ისინი მზად არიან, საჭიროების შემთხვევაში, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ ცვლილებების ინიცირებასა და განხილვაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა ბაღების გაერთიანების“ საბავშვო ბაღებისათვის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიისა და სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N3 ბრძანება*** (აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების

გაერთიანებაში“ შემავალი ყველა საბავშვო ბაღისათვის კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი).

2. *ინტერვიუს შედეგები*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

## 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

### 3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

### 1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია ***(„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ საბავშო ბაღებისათვის ოჯახთნ, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესისი დამტკიდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N8 ბრძანება).*** მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს ოჯახთან და თემთან თანამშრომლობას და წინასწარ გეგმავს აქტივობებს (მე-2 მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტი).

ზემოაღნიშნული დოკუმენტით ასევე განსაზღვრულია, რომ საკომუნიკაციო აქტივობების განსაზღვრისათვის სააღმზრდელო დაწესებულება გამოიყენებს სპეციალურ ცხრილს (მე-5 მუხლის პირველი პუნქტი), რომლის ფორმაც დამტკიცებულია იმავე ბრძანების დანართი 1-ის სახით.

ამ ეტაპზე დაწესებულებას არ აქვს ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო დოკუმენტი, თუმცა წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც უახლოესი 12 თვის განმავლობაში, 2027 წლის 20 თებერვლის ჩათვლით პერიოდში, გათვალისწინებულია საკომუნიკაციო დოკუმენტის შემუშავება.

ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი, მეთოდისტი და საბავშვო ბაღის გამგე ინტერვიუში აღნიშნავენ, რომ აღნიშნული დოკუმენტი წინასწარ განსაზღვრავს აქტივობებს, რომლებიც მოიცავს მშობლებთან რეგულარულ კომუნიკაციას, მათ ინფორმირებას ბავშვის განვითარების თავისებურებებსა და უფლებებთან დაკავშირებით, ასევე მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობას საგანმანათლებლო პროცესში. ამასთანავე, გათვალისწინებულია თანამშრომლობა თემის წარმომადგენლებთან, სკოლებთან, ბიბლიოთეკებთან, კულტურის, სპორტისა და სხვა საზოგადოებრივ ცენტრებთან.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება (კერძოდ, შექმნას საკომუნიკაციო გეგმა და დაამტკიცოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით);

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულება წაახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუში ჩანს რომ დაწესებულება გეგმავს იზრუნოს თემისა და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ღონისძიებებში ჩართულობის წახალისებაზე. აღნიშნულისათვის განიხილება სხვადასხვა ფორმა, მათ შორის თემის წარმომადგენლებისა და მშობლების მოწვევა, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და აღიარება, მადლიერების გამოხატვა

(მადლობის სერტიფიკატები, სიმბოლური ჯილდოები, საჯარო მადლობა ან/და ინფორმაციის გამოქვეყნება საინფორმაციო დაფაზე ან ვებგვერდზე)

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები (*„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ საბავშო ბაღებისათვის ოჯახთნ, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესისი დამტკიდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N8 ბრძანება).*

შერჩეული არხები არის მრავალფეროვანი: პირისპირ შეხვედრები; საინფორმაციო დაფები; მოკლე ტექსტური შეტყობინებები; სატელეფონო ზარები; სოციალური მედიის პლატფორმები, დახურული ჯგუფები (მე-4 მუხლის მეორე პუნქტი).

შერჩეულ არხებს დაწესებულება გამოიყენებს ოჯახთან და ასევე თემთან ურთიერთობისას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ საბავშო ბაღებისათვის ოჯახთნ, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესისი დამტკიდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N8 ბრძანება.*
2. *ინტერვიუს შედეგები*

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

### 3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო დოკუმენტი, თუმცა წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც უახლოესი 12 თვის განმავლობაში გათვალისწინებულია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა.

ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ დოკუმენტის შემუშავებით დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. ოჯახთან და თემთან ურთიერთობის პროცესში პასუხისმგებელი პირებისა და კომუნიკაციის პერიოდულობის განსაზღვრის საფუძველზე დაგეგმილია, რომ საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი, საგანმანათლებლო პერსონალი და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი სისტემატურად განახორციელებენ კომუნიკაციას მშობლებთან, მათ შორის ბავშვთა უფლებების, ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

გაერთიანების დირექტორი ინტევიუში აღნიშნავს, რომ დოკუმენტის მიხედვით ასევე განისაზღვრება, რომ მშობლების ინფორმირება განხორციელდება როგორც პირისპირ შეხვედრების, ისე საინფორმაციო დაფების, სოციალური ქსელების და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. აღნიშნულ პროცესში ჩართული იქნებიან როგორც საგანმანათლებლო პერსონალი, ისე ბაღის ხელმძღვანელი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება (კერძოდ, შექმნას საკომუნიკაციო გეგმა, გეგმაში გაითვალისწინოს აქტივობები სხვადასხვა საკითხებთან (მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან) დაკავშირებით მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებისათვის, და დაამტკიცოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით);

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

## 2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ წარმოადგინა დოკუმენტი (საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ***(დამტკიცებული ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის N5 ბრძანებით***), რომლის მიხედვითაც დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობასა და განხილვას. დოკუმენტის თანახმად, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების პროცესის შემდგომ, შედეგების გაზიარება ხდება ინდივიდუალურად (მუხლი 9.).

საგანმანათლებლო პერსონალი ინტერვიუშიაღნიშნავს, რომ  ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან დაეხმარებათ მათ, უკეთ გააცნონ ოჯახს ბავშვის განვითარებაში გამოვლენილი პროგრესი, ინტერესები ან საჭიროებები და ერთად განსაზღვრონ შემდგომი მხარდაჭერის გზები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

### 3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს ოჯახთან და თემთან ურთიერთობის სამოქმედო დოკუმენტი, თუმცა წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც უახლოესი 12 თვის განმავლობაში გათვალისწინებულია საკომუნიკაციო გეგმის შემუშავება.

ინტერვიუს დროს ირკვევა, რომ დოკუმენტის შემუშავებით დაწესებულება უზრუნველყოფს ღია და საჯარო კომუნიკაციას თემის წარმომადგენლებთან და თემში მოქმედ სერვისებთან (როგორიცაა: სკოლა, ბიბლიოთეკა, მუზეუმი, კულტურისა და სპორტის ცენტრები).

აღნიშნული ადასტურებს, რომ ბაღი გეგმავს ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით სწავლებისა და აღზრდის პროცესის გამრავალფეროვნებასა და გაღრმავებას, რაც ემსახურება თემთან მჭიდრო თანამშრომლობის ხელშეწყობას და საგანმანათლებლო გარემოს გაფართოებას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისთვის დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება (კერძოდ, შექმნას საკომუნიკაციო გეგმა, გეგმაში გაწერილი აქტივობებით უზრუნველყოს თემში არსებული რესურსის გამოყენება. აშნიშნული გეგმა დაამტკიცოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტით);

რჩევა

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელმა დაწესებულებამ წამოადგინა ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ საბავშო ბაღებისათვის ოჯახთნ, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესისი დამტკიდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N8 ბრძანება.***

რომლის მიხედვითაც, დაწესებულება გეგმავს ოჯახთან/თემთან განხორციელებული აქტივობების შეფასებას შემდეგი საშუალებებით: ღია შეხვედრები; ელექტრონული კითვარები.

ამ ეტაპზე ცვლილება ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა ინტერვიუებიდან იკვეთება (ასევე გაწერილია მექანიზმში) დაწესებულება გეგმავს განახორციელოს ცვლილებები მშობელთა უკუკავშირისა და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ცვლილებების განხორციელება დაგეგმილია

უახლოეს გეგმიურ ციკლში (შემდგომი გრძელვადიანი დაგეგმვის ეტაპზე), რაც მეთოდოლოგიის მიხედვით სრულად შეესაბამება შეფასების ციკლის პრინციპებს.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი ***(დამტკიცებული ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის N5 ბრძანებით)***
2. ***„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ საბავშო ბაღებისათვის ოჯახთან, თემთან, კომუნიკაციის დაგეგმვის მექანიზმი, საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესისი დამტკიდების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა - ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N8 ბრძანება.***
3. ***ინტერვიუს შედეგები.***

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

# 4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა[4]

## 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

### 4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

### 1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას ფუნქციონირების დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს დაწესებულების დაფუძნების და რეგისტრაციის შესახებ არსებული დოკუმენტები - ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ წესდება (,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ წესდების დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მინიციპალიტეტის მერის 05/06/2023 წლის N ბ96. 96231563 ბრძანება) და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რითაც დასტურდება, რომ ის შექმნილია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, 61-ე და 106[1] -ე მუხლის და ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის თანახმად და რეგისტირებულია საჯარო რეესტრში ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისობის დასადასტურებლად, რომ დაწესებულება უზრუნველყოფილია პერსონალით, რათა დაწესებულებამ იფუნქციონეროს, წარმოდგენილია გაერთიანების საერთო საშტატო ნუსხა, საყდრის საბავშვო ბაგა- ბაღის სტრუქტურა-ორგანოგრამა, სამუშაო პოზიციების სახით.

წარმოდგენილი საშტატო ნუსხა საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღისათვის განსაზღვრავს 5 პერსონალს. ესენია: ბაღის გამგე, მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელი, აღმზრდელის თანაშემწე, მზარეული. დაწესებულებას არ ჰყავს შტატგარეშე თანამშრომელი.

წარმოდგენილი მტკიცებულებებით დაწესებულება ვერ ადასტურებს საშტატო ნუსხა აკმაყოფილებს თუ არა ყველა იმ პროცესების შესრულებას, რაც გაწერილი უნდა ჰქონდეს მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის პირველ ინდიკატორის მოთხოვნით - შექმნილი არ

---

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

აქვს დოკუმენტი ,,პროცესების აღმწერები  და ხარისხის უზრუნველყოფის წესი“, რომელიც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას მოგვცემდა;

ასევე წარმოდგენილია ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “-ს დამტკიცების შესახებ” გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის  ბრძანება N 9);
წესში განსაზღვრულია რეგულირების და გამოყენების სფერო, მიზნები და ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. დოკუმენტის მე-7 მუხლი მოიცავს ასეთ ჩანაწერს, რომ შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის, რომ სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით. (იხ.ამონარიდი)
**მუხლი 7. სამუშაო აღწერილობა**

1. დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით.
2. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას[5]:
   2.1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
   2.2. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
   2.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები[6];
   2.4. ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში;
3. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მათთვის ნათელია შესასრულებელი ამოცანები და როლები.
4. სამუშაო აღწერილობის გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ცვლილებიდან გამომდინარე.

მაგრამ ასეთი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის.

დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული ,,შრომის შინაგანაწესი“, ვერ დგინდება ფუნქცია - მოვალეობები, რაც მოგვცემდა იმის დადასტურებას, პერსონალი რაოდენობრივად და შინაარსობრივად საკმარისია თუ არა, პერსონალის მოცემული რაოდენობრივი სიმცირის პირობებში. საშტატო ნუსხით არ დასტურდება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების დაკმაყოფილება.

---

[5] *შესაძლოა დაწესებულების გადაწყვეტილებით სამუშაო აღწერილობას სხვა ინფორმაციაც დაემატოს.*
[6] *თუ სხვა აქტში/დოკუმენტშია განსაზღვრული, შესაძლებელია გაკეთდეს რეფერირება ამ აქტზე/დოკუმენტზე*

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად იდენტიფიცირებულია შეუსაბამობები და აქტივობების ნაწილში გაწერილი აქვს დაწესებულების შინაგანაწესის შემუშავება და ,,პროცესების აღწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების ჯეროვნად შესრულება.
- დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “, რომელშიც დამატებით გაწერილი იქნება თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, საჭირო კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს, ასევე მოიცავდეს დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმებს.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ პირველ რიგში შექმნას დოკუმენტი ,,პროცესების აღწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები” და მასზე დაყრდნობით განსაზღვროს პროცესებში მონაწილე და თითოეული პროცესის ხარისხის უზრუნველმყოფი პირები, ამასთანავე სასურველია გაითვალისწინოს გაერთიანებაში შემავალი თითოეული ბაღის მოწყობის და პროცესების მიმდინარეობის თავისებურებები და შესაბამისად გადაანაწილოს ფუნქციები და პასუხისმგებლობები ბაღის პერსონალს შორის.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის “, რომელშიც დამატებით გაწერს თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობას, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, საჭირო კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს, ასევე მოიცავდეს დროებით არმყოფი თანამშრომლის ჩანაცვლების მექანიზმებს 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი " (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი "-ს დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9);
წესში განსაზღვრულია რეგულირების და გამოყენების სფერო, მიზნები და ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი. დოკუმენტის მე-7 მუხლი მოიცავს ასეთ ჩანაწერს, რომ შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით. (იხ.ამონარიდი)

**მუხლი 7. სამუშაო აღწერილობა**

1. დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით.
2. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას[7]:
2.1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
2.2. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
2.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები[8];
2.4. ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში;
3. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მათთვის ნათელია შესასრულებელი ამოცანები და როლები.
4. სამუშაო აღწერილობის გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ცვლილებიდან გამომდინარე.

ჩანაწერის მიუხედავად, ასეთი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების" წესდება (,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების" წესდების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მინიციპალიტეტის მერის 05/06/2023 წლის N ბ96. 96231563 ბრძანება), რომელშიც გაწერილია მხოლოდ საბავშვო ბაგა-ბაღის გამგის (მუხლი 5) ფუნქციები და მოვალეობები.

---

[7] *შესაძლოა დაწესებულების გადაწყვეტილებით სამუშაო აღწერილობას სხვა ინფორმაციაც დაემატოს.*
[8] *თუ სხვა აქტში/დოკუმენტშია განსაზღვრული, შესაძლებელია გაკეთდეს რეფერირება ამ აქტზე/დოკუმენტზე*

დაწესებულებას ასევე წარმოდგენილი აქვს დაწესებულების სტრუქტურა-ორგანოგრამა. ორგანოგრამა ასახავს თანამდებობრივ პოზიციებს, მაგრამ ნათელ წარმოდგენას არ იძლევა თანამდებობრივი დაქვემდებარების შესახებ. ორგანოგრამა არ ადასტურებს საკონსულტაციო საბჭოს არსებობას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი ", რომელშიც დამატებით გაწერილი იქნება თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობებს, საჭირო კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს.

სრულყოს დაწესებულების სტრუქტურული მოწყობის გრაფიკული გამოსახულება - უნდა იკვეთებოდეს საკონსულტაციო საბჭოების არსებობა

რჩევა

მოცემული ინდიკატორის მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავებისას, სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს უკვე არსებული/მოქმედი დოკუმენტების რეგულაციები და მოიყვანოს ისინი თანხვედრაში.
სასურველია ორგანოგრამა შეიქმნას ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის" დოკუმენტის შესაბამისად.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესს", რომელშიც დამატებით გაწერილი იქნება თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობებს, საჭირო კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს. სრულყოფს დაწესებულების სტრუქტურული მოწყობის გრაფიკულ გამოსახულებას - მასზე დატანილი იქნება საკონსულტაციო საბჭოების არსებობა 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი კანონით დადგენილ მოთხოვნებთან მიმართებით ითვალისწინებს სამ ძირითად მიმართულებას: 1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები აღმზრდელ-პედაგოგისათვის; 2. დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები; 3. სხვა პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

- ✓ აღმზრდელ-პედაგოგის საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილებით. სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას მოქმედი დამტკიცებული საშტატო ნუსხით არ აქვს გათვალისწინებული აღმზრდელ-პედაგოგის პოზიცია, განსაზღვრულია აღმზრდელის პოზიცია.
- ✓ საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო ინდივიდუალურად („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10) ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებულია „ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები“.
- ✓ სხვა პარსონალის პროფესიულ სტანდარტსაც ადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულო ინდივიდუალურად („ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 10). ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილებით დამტკიცებულია „ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტი“. მათ შორის არის გაწერილი საგანმანათლებლო პერსონალის (აღმზრდელის) საკვალიფიკაციო მოთხოვნებიც.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

## 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულებისათვის მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტებით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პერსონალი და მათი დამხმარე პერსონალი (ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტი“), ესენია აღმზრდელი, მუსიკის მასწავლებელი, აღმზრდელის თანაშემწე. მათ არ აქვთ შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“, სადაც მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა და აქტივობების ნაწილში გაწერილი აქვს ბავშვებთან მომუშავე პერსონალისათვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგების უზრუნველყოფა 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება.

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

## 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას პერსონალის მართვის პროცესების განხორციელების საფუძვლად გამოყენებული აქვს მოქმედი კანონმდებლობა, კერძოდ:
საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“ ;
საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ ;
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის №478 დადგენილება „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ;
საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ და მუნიციპალიტეტის დადგენილებები ადამიანური რესურსების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც გაწერილი აქვს წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “-ს დამტკიცების შესახებ” გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9);

წესში განსაზღვრულია რეგულირების და გამოყენების სფერო, მიზნები და ამოცანები, ადამიანური რესურსების მართვის ციკლი, რომელიც ოთხ ძირითად მიმართულებადაა გაწერილი, ესენია: ორგანიზება-დაგეგმვა, ორგანიზაციაში შემოსვლა, სამუშაოს მართვა და ორგანიზაციიდან გასვლა.
პერსონალის მართვის ციკლის პირველი მიმართულების (ორგანიზება-დაგეგმვა) უზრუნველყოფისათვის წესის მე-7 მუხლი მოიცავს ასეთ ჩანაწერს, რომ შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით. (იხ.ამონარიდი)

**მუხლი 7. სამუშაო აღწერილობა**

1. დაწესებულება უზრუნველყოფს იერარქიული სტრუტტურისა და თითოეული თანამშრომლის მიერ შესასრულებელი ფუნქციების მკაფიოობას. ამ მიზნით, შემუშავებულია სამუშაო აღწერილობა დაწესებულებაში არსებული თითოეული პოზიციისთვის. სამუშაო აღწერილობის დანართი დამტკიცებულია ამ წესის დანართი N1-ით.
2. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი მოიცავს შემდეგ საკვანძო ინფორმაციას:

2.1. თანამდებობის/პოზიციის დასახელება; სტრუქტურული ერთეული (არსებობის შემთხვევაში);
2.2. შესასრულებელი დავალებები (ფუნქციები) და პასუხისმგებლობები;
2.3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები[9];
2.4. ანგარიშვალდებულება და ვინ ითავსებს ფუნქციას არ ყოფნის პერიოდში;

---

[9] *თუ სხვა აქტში/დოკუმენტშია განსაზღვრული, შესაძლებელია გაკეთდეს რეფერირება ამ აქტზე/დოკუმენტზე*

3. სამუშაო აღწერილობის დოკუმენტი ხელმისაწვდომია ყველა თანამშრომლისთვის, მათთვის ნათელია შესასრულებელი ამოცანები და როლები.
4. სამუშაო აღწერილობის გადახედვა ხორციელდება პერიოდულად, დაწესებულებაში მიმდინარე პროცესის ცვლილებიდან გამომდინარე.

ჩანაწერის მიუხედავად, ასეთი დოკუმენტი არ არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, პერსონალის მართვის პროცესებთან დაკავშირებული საკითხები შეიძლება რეგულირდებოდეს დაწესებულების შინაგანაწესითაც, რომლის შექმნა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები:

- დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება, შინაგანაწესის შექმნის საკითხში.
- დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი ", რომელშიც დამატებით სრულყოფილად იქნება გაწერილი ადამიანური რესურსების დაგეგმვის მექანიზმები: დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა/ორგანოგრამა და ორგანოგრამის შესაბამისად, თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, საჭირო კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესს ", რომელშიც დამატებით სრულყოფილად იქნება გაწერილი ადამიანური რესურსების დაგეგმვის მექანიზმები: დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა/ორგანოგრამა და ორგანოგრამის შესაბამისად, თითოეული სტრუქტურული ერთეულისათვის/პოზიციისათვის სამუშაო აღწერილობა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს: პოზიციას, უფლება - მოვალეობებს, ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, საჭირო

კომპეტენციებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და ანგარიშვალდებულებებს 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მარეგულირებელ დოკუმენტებში არ არის დარეგულირებული დასაქმებულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების არსებითი და სავალდებულო პირობები, პროფესიულ კავშირებთან შესაძლო კონსულტაციების გათვალისწინებით. მათ შორის, არ დასტურედება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №488 დადგენილების - „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნის გათვალისწინება აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრის თაობაზე.
სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", სადაც მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად იდენტიფიცირებულია შეუსაბამობა და აქტივობების ნაწილში გაწერილი აქვს ხელშეკრულებების მომზადება ინდიკატორის მოთხოვნის გათვალიწინებით 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

### რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობის ჯეროვნად შესრულება, კერძოდ - დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტში უნდა გაწეროს დასაქმებულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების არსებითი და სავალდებულო პირობები, პროფესიულ კავშირებთან შესაძლო კონსულტაციების გათვალისწინებით. მათ შორის აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს მათთვის სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრა. ასევე სავალდებულო პირობებში განსაზღვროს/დაადგინოს ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების/კომპენსირების კონკრეტული წესი.

### რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შეიმუშაოს შრომითი ხელშეკრულების ფორმა ე.წ. დრაფტი, სადაც აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრავს მათთვის სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და ამ პერიოდებში შესასრულებელ სამუშაოებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულება მარეგულირებელ დოკუმენტში გაწერს დასაქმებულ პერსონალთან გასაფორმებელი შრომითი ხელშეკრულებების  არსებითი და სავალდებულო პირობების, პროფესიულ კავშირებთან შესაძლო კონსულტაციების გათვალისწინებით. მათ შორის აღმზრდელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში გაითვალისწინებს მათთვის სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრას. ასევე სავალდებულო პირობებში დაადგენს  ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების/კომპენსირების კონკრეტულ წესს, მაგრამ 12 თვიანი პერიოდის ნაცვლად გაწერილი აქვს 24 თვიან პერიოდზე,  რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ  დაკმაყოფილებულია**

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “-ს დამტკიცების შესახებ” გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის  ბრძანება N 9);

დოკუმენტები დეტალურად აღწერს პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურებს, მათ შორის, კადრების მოზიდვის, შერჩევის. რეგულაცია მოიცავს როგორც კონკურსის მეთოდს, ასევე პირდაპირი გზით შერჩევა/დანიშვნას. დაწესებულების მიერ გამოყენებულია ორივე გზა, რომელიც უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად უნდა უზრუნველყოფდეს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას. ინტეგრაციის პროცესის ეფექტურად წარმართვის გზები და მეთოდები დაწესებულებას გაწერილი აქვს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი " -თ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი "-ს დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9); მუხლი 18 - ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია;

ეს რეგულაციები მოიცავს ადაპტაციის ეტაპებს, აგრეთვე სხვადასხვა საკითხებს: 1. ახალი თანამშრომლისთვის დაწესებულების მისიის, ღირებულების, ისტორიის გაცნობა 2. სტრუქტურის გაცნობა 3. გუნდთან და კოლეგებთან გაცნობა 4. საჭირო ტრენინგებისა და სასწავლო კურსის მოძიება და ორგანიზება ახალი თანამშრომლის საჭიროების მიხედვით 5. დაწესებულებაში არსებულ ინვენტარზე და რესურსებზე შეუფერხებლად წვდომა 6. შინაგანაწესისა და პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტის გაცნობა 7. უკუკავშირის კულტურის გაძლიერება - ახალი თანამშრომლის ჩართულობა გუნდურ მუშაობაში, კომუნიკაცია, ინიციატივების გამოვლენაში, და ა.შ.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

### 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების სტრატეგიული განვითარების რეგულირება ითვალისწინებს ჩამოყალიბებულ ღირებულებებს და ფასეულობებს ამ განვითარების გზაზე, რაც საბოლოო ჯამში ყალიბდება დაწესებულების, როგორც ცოცხალი ორგანიზმის, ორგანიზაციულ კულტურად. სტატუსის მაძიებელი დაწესებულების ღირებულებებში საკვანძო თემაა თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა, ეს ნიშნავს, რომ ეს ღირებულებები და ფასეულობები გათავისებული და გაზიარებულია თითოეული თანამშრომლის მიერ მისი ქცევით, უნარ-ჩვევების გამოვლენით, ეთიკის ნორმებით. ადგილზე ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ დაადასტურა, თუ როგორ ყურადღებას უთმობს ღირებულებების, ფასეულობების, ეთიკის, ორგანიზაციული კულტურის სწორად ჩამოყალიბებას და გათავისებას თითოეული თანამშრომლის მიერ ,,ჩვენ“ განცდისა და ერთობის ჩამოყალიბებისათვის. წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა დამადასტურებელი მასალები - საკითხების განხილვისათვის საერთო შეხვედრების ოქმები, ერთობლივად მუშაობის ფოტოები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..................................................................................................................................................................................................................................................
..................................................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მატიებელი დაწესებულების მიერ შემუშავებულ ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი " -თ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი "-ს დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9) პერსონალის მართვის რეგულირების ძირითადი საკითხებიდან, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის" მუხლი 19 მოიცავს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა კვლევის მექანიზმებს.
მაგრამ ჩანაწერი აღნიშნულ საკითხზე არის ზოგადი და ზედაპირული ხასიათის, რამეთუ, დაწესებულებას, რომელსაც არ აქვს შემუშავებული სამუშაოების აღწერილობები, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, შრომის შინაგანაწესი, ის რეალისტურად ვერ ჩაითვლება და ფაქტობრივად ვერ მოახდენს დასაქმებულის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა გამოვლენას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ ჯერ შეიმუშაოს დოკუმენტები ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"და შრომის შინაგანაწესი და შესაბამისად სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი ", რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, მექანიზმები, ფორმები, კრიტერიუმები, შეფასების პერიოდულობა, სისტემურობა, შემფასებლები, შეფასების შედეგების დადგენის და ანალიზის შედეგად პროფესიული განვითარების საჭიროებების გეგმის შედგენის წესი.
რჩევა
................................................................................................................................................................................................................................................
................................................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შეიმუშავებს დოკუმენტებს ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები"და ,,შრომის შინაგანაწესი" და შესაბამისად სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესს ", რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი, მექანიზმები, ფორმები, კრიტერიუმები, შეფასების პერიოდულობა, სისტემურობა, შემფასებლები, შეფასების შედეგების დადგენის და ანალიზის შედეგად პროფესიული განვითარების საჭიროებების გეგმის შედგენის წესი 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ შემუშავებულ ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “ -ით (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “-ს დამტკიცების შესახებ” გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9) პერსონალის მართვის რეგულირების ძირითადი საკითხიდან, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის” მუხლი 20 განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული და კარიერული წინსვლის გზებს. მაგრამ ჩანაწერი აღნიშნულ საკითხზე არის ზოგადი და ზედაპირული ხასიათის, რამეთუ, დაწესებულებას, რომელსაც არ აქვს შემუშავებული სამუშაოების აღწერილობები, პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები, შრომის შინაგანაწესი, ის ვერ მოხდენს დასაქმებულის საქმიანობის შეფასებას, საჭიროებათა გამოვლენას და მათზე დაფუძნებით პროფესიული განვითარების დაგეგმვას ხარისხის ციკლის შესაბამისად.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით პერსონალის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები. საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების გზები და საშუალებები, დაადგინოს გეგმის ფორმის სავალდებულო რეკვიზიტები.

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესს “, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის საქმიანობის შეფასების და საჭიროებათა მოკვლევის შედეგად შემუშავებული გეგმის მიხედვით პერსონალის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმები, საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზების გზები და საშუალებები, გაწერს გეგმის ფორმის სავალდებულო რეკვიზიტებს 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ შემუშავებულ ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “ -თ (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “-ს დამტკიცების შესახებ” გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9) პერსონალის მართვის რეგულირების ძირითადი საკითხიდან, მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პერსონალის შეფასებას და პროფესიულ განვითარებას. ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის” მუხლი 20 მოიცავს ასეთ ჩანაწერს:

- ✓ პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან.
- ✓ დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება:

ა) შეხვედრები, საჭიროების მოკვლება, მონიტორინგი
ბ) დაწინაურება
გ) მატერიალური წახალისება
დ) პერსონალის პროფესიული და კარიერული წინსვლის გზებს.

ჩანაწერი აღნიშნულ საკითხზე არის ზოგადი და ზედაპირული ხასიათის, რამეთუ, დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმის ფორმა, რომელშიც, მოკვლეული საჭიროებიდან გამომდინარე ჩასატარებელ ტრენინგებთაბ ერთად, ცალკე პარაგრაფად გამოჩნდებოდა თავად თანამშრომლის და დაწესებულების ორმხრივი სარგებლის მიღებაზე ორიენტირებული ინიციატივების გათვალისწინება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

ინდიკატორის დაკმაყოფილებისათვის დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი “, რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმები არსებული რესურსების და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. განვითარების გეგმის ფორმაში გაითვალისწინოს შესაბამისი აღნიშვნა.

რჩევა

..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესს ", რომელშიც დეტალურად იქნება გაწერილი პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მიღების და მათი მხარდაჭერის მექანიზმები არსებული რესურსების და განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით. განვითარების გეგმის ფორმაში გაითვალისწინებს შესაბამის აღნიშვნას 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების გაერთიანების" წესდება (,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ააიპ ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების გაერთიანების" წესდების დამტკიცების შესახებ" ლენტეხის მინიციპალიტეტის მერის 05/06/2023 წლის N ბ96. 96231563 ბრძანება)
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
3. საყდრის საბავშვო ბაღის სტრუქტურა-ორგანოგრამა
4. ,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების გაერთიანების ,,პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი " (,,ა.(ა).ი.პ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების გაერთიანების საბავშო ბაღებისათვის პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი "-ს დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 22/01/2026 წლის ბრძანება N 9);
5. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N29 დადგენილება ,,ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების" შესახებ.
6. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N30 დადგენილება ,,ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის" შესახებ.
7. დაწესებულების საშტატო ნუსხა
8. საყდრის საბავშვო ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შესაბამება ☐ | მეტწილად შესაბამება ☐ | ნაწილობრივ შესაბამება ☒ | არ შესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

#### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას მოცემული ინდიკატორის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის არ აქვს წარმოდგენილი დოკუმენტი, რომელშიც იდენტიფიცირებული და აღწერილი ექნება დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, განსაზღვრული არ აქვს თითიეული პროცესის კონკრეტული ნაბიჯები, ეტაპები და ქმედებები, რომლებიც უნდა შესრულდეს თანმიმდევრულად, რათა საქმიანობა განხორციელდეს სრულყოფილად, ერთ მთლიანობაში.

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა", სადაც მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად იდენტიფიცირებულია შეუსაბამობები და აქტივობების ნაწილში გაწერილი აქვს ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის" შემუშავება და დამტკიცება 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ჯეროვნად შესრულება ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის" შემუშავების და დამტკიცების საკითხში.

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის" შემუშავების დროს გაითვალისწინოს გაერთიანების თითოეული ბაღის ინდივიდუალური მოწყობის წესი და პერსონალის რაოდენობა.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
აღნიშნული ინდიკატორი თავის თავში გულისხმობს დაწესებულების საქმიანობის მართვის პროცესულ მიდგომას და თითოეული იდენტიფიცირებული პროცესის წარმართვას ხარისხის ციკლის გათვალისწინებით. თითოეული პროცესის ფარგლებში ხარისხის ციკლის გავლა გულისხმობს ამ პროცესის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გადახედვა/გაუმჯობესების ეტაპების ერთმანეთის მიყოლებით, თანამიმდევრობით გავლას ერთ მთლიან, უწყვეტ პროცესად მუდმივ რეჟიმში.  ყოველივე ეს პროცესი აღწერილი უნდა იყოს ერთ მთლიან მეთოდოლოგიაში.

სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას დანართის სახით წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა“,  სადაც მოცემული ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად იდენტიფიცირებულია შეუსაბამობები და  აქტივობების  ნაწილში გაწერილი აქვს  ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის“  შემუშავება და დამტკიცება 12 თვიან პერიოდში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული აქტივობის ჯეროვნად შესრულება ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის“  შემუშავების და დამტკიცების საკითხში.
რჩევა
სასურველია დაწესებულებამ ,,პროცესების აღმწერები და ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტის“  შემუშავების დროს გაითვალისწინოს გაერთიანების თითოეული ბაღის ინდივიდუალური მოწყობის წესი და პერსონალის რაოდენობა.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11)

მარეგულირებელ წესი არეგულირებს შემდეგ საკითხებას: დაწესებულებაში ბავშვების მიღებას/რეგისტრაციას, რეგისტრაციის აქტივაციას, ჩარიცხვას, ამორიცხვას, ჯგუფების დაკომპლექტებას, შერეული ჯგუფების შექმნას, გადაყვანას, დაწესებულებაში წარსადგენი საბუთების ნუსხას, რეგისტრაციის ფორმას, პრიორიტეტებს ჩარიცხვის დროს. რეგისტრაციის ფორმად შერჩეული აქვთ მატერიალური ფორმა, რეგისტრაციის ფორმა მტკიცდება დანართის სახით, მაგრამ თავად დანართის ფორმა არ იძებნება. მშობელს/კანონიერ წარმომადგენელსა და გაერთიანების დირექტორს შორის სამართლებრივი კავშირის ფორმად განსაზღვრულია წერილობითი ხელშეკრულებითი ფორმა რომელიც მტკიცდება დირექტორის მიერ დანართის სახით (მასალებში ფორმა არ იძებნება).

აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გაწერილია ამ წესით განსაზღვრული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი - საბავშვო ბაღის გამგე, პასუხისმგებლობების ჩამონათვალით.

გარდა ზემოთაღნიშნული დოკუმენტისა, ბავშვთა ჩასარიცხად საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი და საბავშვო ბაღის გამგის პასუხისმგებლობების ნაწილი გაწერილია სატატუსის მაძიებელი დაწესებულების წესდებაში.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საქმიანობის/პროცესების ერთი მიმართულების საკითხები დაარეგულიროს ერთი მარეგულირებელი დოკუმენტით, ან სხვადასხვა დოკუმენტებში ერთნაირად გაწეროს რეგულაციები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის დასადასტურებლად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტით - ,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის  დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 22/01/ 2026 წლის ბრძანება N 9) დადგენილია პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი. წესი მოიცავს პერსონალის პირადი საქმეების შექმნის, შენახვის, წარმოება/განახლების, კონფიდენციალურობის საკითხების რეგულირებას. პერსონალის პირადი საქმის დოკუმენტების ჩამონათვალში გაწერილია სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის  ცნობის წარმოდგენა. პერსონალის პირადი საქმეები დაცულია გაერთიანებაში.

ხოლო ბავშვის პირადი საქმის წარმოების წესი და საქმისათვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი გაწერილია დოკუმენტში ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების  საბავშვო ბაღებისათვის  ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11); წესი მოიცავს ბავშვების პირადი საქმეების შექმნის, შენახვის, წარმოება/განახლების, კონფიდენციალობის საკითხების რეგულირებას. ბავშვების პირადი საქმეები დაცულია მომსახურების მიწოდების ფაქტობრივ მისამართზე.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ ასევე შეიმუშაოს დოკუმენტბრუნვისა და საქმისწარმოების საერთო წესი, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

......................................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ,,პერსონლის მართვის მარეგულირებელი წესის  დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 22/01/ 2026 წლის ბრძანება N 9);
2. ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის  ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11);

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: |
|---|

| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

## 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

## 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს ორ ძირითად მოთხოვნას: დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შესაძლებლობას და საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირებას.

სტატუსის მაძიებელი დაწესებულება ვერ ადასტურებს ინდიკატორის პირველი მოთხოვნის შესაბამისობას. არ აქვს შემუშავებული პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, სადაც აღწერილი იქნება თუ ვინ და როგორ არის პასუხისმგებელი პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენაზე. დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის განკუთვნილი სივრცე

გამოყოფილი და მოწყობილი. არ არის განსაზღვრული პირველადი დახმარების საშუალებები. საგანმანათლებლო პერსონალი არ არის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენციით.

რაც შეეხება ინდიკატორის მეორე მოთხოვნასთან შესაბამისობას, დაწესებულებას წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგმის შემუშავება და დამტკიცება, რომელიც შეთანხმებული იქნება უფლებამოსილ ორგანოსთან 12 თვიან პერიოდში.

გარდა აღნიშნულისა ინდიკატორი მოითხოვს დაწესებულებამ წარმოადგინოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მიმართვა მუნიციპალიტეტის მერისადმი აღნიშნულთან მიმართებით დახმარების აღმოჩენის თხოვნით. (2026 წლის 4 თებერვლის მიმართვა N35);
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმის ჯეროვანი შესრულება საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება/დამტკიცების ნაწილში.
დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმი და მოაწყოს შესაბამისი გარემო.
დაწესებულებამ უნდა მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე.

რჩევა
შესაძლებელია დაწესებულებამ ,,საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების მექანიზნები“ ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, მათ შორის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, მართვის გეგმა შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან და დაამტკიცოს.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება შეიმუშავებს და დაამტკიცებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს და მოაწყობს შესაბამის გარემოს. მოიპოვებს დასკვნას შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ ან არსებობის შემთხვევაში - მიწერილობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეები არ წარმოადგენენ საფრთხეს ბავშვის და პერსონალის ჯანმრთელობისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას დაწესებულებას ჰქონდეს ინფორმაცია მის ტერიტორიაზე როგორც შენობაში, ისე ეზოში არსებული მცენარეების შესახებ, ჰქონდეს აღრიცხული და მცენარეებისაგან გამოვლენილი საფრთხის შემთხვევისათვის გაწერილი ჰქონდეს გაუვნებლობის შესაბამისი მექანიზმები.
დაწესებულებას ეს საკითხი არ აქვს დარეგულირებული.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეებისაგან ჯანმრთელობისათვის საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების წესი და მექანიზმები.
რჩევა
შესაძლებელია დაწესებულებამ ,,საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირების მექანიზნები“ ერთ მარეგულირებელ დოკუმენტში გაწეროს, მათ შორის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეებისაგან ჯანმრთელობისათვის საფრხის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების წესი და მექანიზმები, მართვის საერთო გეგმა შეათანხმოს უფლებამოსილ ორგანოსთან და დაამტკიცოს.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება შეიმუშავებს დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მცენარეებისაგან ჯანმრთელობისათვის საფრთხის გამოვლენის შემთხვევაში რეაგირების წესს და მექანიზმებს 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვების გაყვანისას დაცულია ბავშვების უსაფრთხოება და პროცესი ხორციელდება მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვის საფუძველზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მე-3 სტანდარტის მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის მე-3 ინდიკატორის მოთხოვნით დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვისას და უწევს ბავშვების გაყვანა დაწესებულების ტერიტორიიდან და ეს გაყვანა უნდა მოხდეს უსაფრთხოების დაცვით, შესაბამისად დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის წესები/პროცედურა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით. ნებარვთა უნდა იყოს ბავშვის პირადი საქმის ნაწილი.
დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული რეგულაცია. არსებობს მხოლოდ ჩანაწერი დოკუმენტში ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11, მუხლი 5, პუნქტი 6, ლ) ქვეპუნქტი, რომ ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები: (მათ შორის)

ლ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის);

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის წესები/პროცედურა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა აღნიშნულთან დაკავშირებით. ნებართვა უნდა იყოს ბავშვის პირადი საქმის ნაწილი.

რჩევა

შესაძლებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს ერთი საერთო მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თავებად გაწერს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს, მათ შორის ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის წესები/პროცედურა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის/ნებართვის ფორმა და დაამტკიცოს.
მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის სავალდებულოობა გათვალისწინებულია ასევე მე-3 სტანდარტის, მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის 1 ინდიკატორის მოთხოვნებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება შეიმუშავებს დაწესებულების ტერიტორიიდან ბავშვის გაყვანის წესებს/პროცედურას და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი

თანხმობის/ნებართვის ფორმას აღნიშნულთან დაკავშირებით (ნებართვა იქნება ბავშვის პირადი საქმის ნაწილი) 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 4.6.2. დაწესებულებაში დაცულია ბავშვების ემოციური უსაფრთხოება

### 1. დაწესებულების გარემო თითოეული ბავშვისთვის პროგნოზირებადია-ბავშვები იცნობენ დღის განრიგს და აქვთ ინფორმაცია დღის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
აღნიშნული ინდიკატორი დაწესებულებას ავალდებულებს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესი წარმართოს ემოციურად უსაფრთხო გარემოში პროცესის მონაწილე ყველა პირისათვის. ემოციურად უსაფრთხო გარემო ბავშვებისათვის გულისხმობს კომფორტულ გარემოს, სადაც ბავშვები არ იღელვებენ, არ იდარდებენ, არ დაიძაბებიან. ასეთს წარმოადგენს ბავშვებისათვის პროგნოზირებადი დღის განრიგის არსებობა - დღის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობების თანმიმდევრობისადმი მზაობის გაცნობიერება. ეს ყოველივე ამცირებს პრობლემურ ქცევას და სძენს თავდაჯერებულობას.
აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობა დაწესებულების მიერ ვერ დასტურდება.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**
რეკომენდაცია
დაწესებულებამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად გაითვალისწინოს არჩეული კურიკულუმის შესაბამისად სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს მოწყობისადმი მოთხოვნები, კერძოდ ბავშვებისათვის პროგნოზირებადი/ვიზუალიზებული/დასურათებული დღის განრიგის არსებობა.
რჩევა
მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის სავალდებულოობა გათვალისწინებულია ასევე მე-2 სტანდარტის, მე-2 კომპონენტის მე-3 კრიტერიუმის 1 ინდიკატორის მოთხოვნებით.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება გაითვალისწინებს არჩეული კურიკულუმის შესაბამისად სააღმზრდელო-საგანმანათლებლო გარემოს მოწყობისადმი მოთხოვნებს, კერძოდ ბავშვებისათვის პროგნოზირებადი/ვიზუალიზებული/დასურათებული დღის განრიგის არსებობას 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.
**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. დაწესებულების პერსონალი იცნობს ბავშვის უფლებებს და იცავს მათ საქმიანობის წარმართვის პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას უზრუნველყოს არაძალადობრივი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს ადგილს, სადაც ბავშვს პატივს სცემენ, როგორც ინდივიდს, მიუხედავად ასაკისა, სადაც ის პრიორიტეტულად ზრუნვის ობიექტია. მომსახურების გაწევის დროს გათვალისწინებულია მისი ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა.

შესაბამისად დაწესებულებას უწევს დაადასტუროს, რომ მისი პერსონალი ფლობს და იყენებს არაძალადობრივი მოპყრობისა და აღზრდის მეთოდებს, იცნობს კანონმდებლობას და რეგულაციებს ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში. აღნიშნული ვალდებულება შესაძლოა შესრულდეს ტრენინგების, კურსების, საჯარო, სამუშაო შეხვედრების და დისკუსიების ორგანიზებით, ლიტერატურის და სხვა რესურსების მობილიზებით.

დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოდგენილია დოკუმენტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილება ,,ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების" დამტკიცების შესახებ, რომლითაც დარეგულირებულია ინდიკატორის მოთხოვნები.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ შრომის შინაგანაწესის შემუშავება/შექმნის დროს გაითვალისწინოს მითითებული დოკუმეტის დანაწესები- ერთმანეთთან თანხვედრაში მოიყვანოს გაწერილი რეგულაციები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულებაში განსაზღვრულია პროცედურები ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის და იდენტიფიცირებულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბვშვო ბაღებისათვის ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბვშვო ბაღებისათვის ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 27/01/2026 წლის N14 ბრძანება)

მარეგულირებელი დოკუმენტი შემუშავებულია ,,ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის N437 დადგენილების საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში დაწესებულების მუშაობის წესს და ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის ეტაპებს და პროცედურებს. გაწერილი აქვს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენის, ბავშვის მდგომარეობის შეფასების, ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირების, ძალადობის შემთხვევებზე ზედამხედველობის მექანიზმები. რეგულაციით დამტკიცებული აქვს რეფერირების ფორმები დანართების სახით.

ამ ინდიკატორის მოთხოვნების შემდეგი ხაზი, რომ გამოყოფილი იყოს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა ძალლადობისაგან დაცვაზე (რეფერირებაზე) პასუხისმგებელი პირი, დარეგულირებულია დაწესებულების მიერ. გაწერილია ფუნქციები, ქმედების ეტაპები, პროცედურები. დასადასტურებლად წარმოდგენილია ,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ბავშვთა ძალადობაზე ეჭვის შემთხვევის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 27/01/ 2026 წლის N15 ბრძანება;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

………………………………………………………………………………………………………………………………………………

………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 4. დაწესებულება ხელს უწყობს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციას და ტრანზიციას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მოცემული ინდიკატორი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას ბავშვებისათვის ახალ გარემოში, ახალ ურთიერთობებში შესვლა, მათთვის და მათი ოჯახის წევრებისათვის, იყოს რაც შეიძლება ადვილად, ნაკლებ სტრესულად გადასალახი. ცვლილებების ეს გარდამავალი პერიოდი, ანუ ტრანზიცია, მნიშვნელოვანი პროცესია სკოლამდელ განათლებაში და ის იწყება საბავშვო ბაღთან პირველი შეხებით - ეს არის ახალი სამყარო, ახალი ურთიერთობები, უცხო ადამიანები, უცხო გარემო უცხო წესებით, რამაც შეიძლება გამოიწვიოს შიში, შფოთვა. ინდიკატორის მოთხოვნაა, რომ ტრანზიცია დაწესებულების გარემოში ითვალისწინებდეს ყველა გარემოებას, თავისებურებების გათვალისწინებას, რათა ტრანზიცია იქცეს სწავლისა და განვითარების შესაძლებლობად და არა დამრთგუნველად და ხელის შემშლელ გარემოებად. ერთი გარემოდან მეორეში გადასვლა (გარე ტრანზიცია), ან თავად ერთი გარემოს ფარგლებში, ერთი სიტუაციიდან მეორეში გადანაცვლრება (მცირე ტრანზიცია) უნდა მოხდეს წინასწარ გააზრებული და დამუშავებული მექანიზმებით და შესაბამისი ქმედებებით. ინდიკატორის შესაბამისობა დაწესებულებამ ვერ დაადასტურა.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმები, სახეები/ფორმები, ეტაპები, ტრანზიციების დროს გამოსაყენებელი მეთოდები და ელემენტები.

რჩევა

შესაძლებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს ერთი საერთო მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თავებად გაწერს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს, მათ შორის ბავშვის გარემოსთან ადაპტაციის და ტრანზიციის მექნიზმებს და დაამტკიცოს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება შეიმუშავებს ბავშვის გარემოსთან ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმებს (სახეები/ფორმები, ეტაპები, ტრანზიციების დროს გამოსაყენებელი მეთოდები და ელემენტები) 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**.

## 5. დაწესებულება იცავს ბავშვისა და მისი ოჯახის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელი დაწესებულების საქმიანობაში თავს იყრის სხვადასხვა ტიპის პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაცია (ბავშვის ფოტოები, ვიდეოები, ინფორმაცია ჯანმრთელობის შესახებ და სხვ), ასევე თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები. აღნიშნული ინდიკატორი კი დაწესებულებას უყენებს მოთხოვნას შეიმუშაოს და დაიცვას პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, განჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები და აღნიშნული მიმართულებით პერსონალისათვის ცოდნის დადასტურების მექანიზმი. ინფორმაციის გაზიარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ეფუძნებოდეს, მათ შორის ბავშვისათვის ფოტო და ვიდეო გადაღება/გამოქვეყნება.

დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა აღნიშნული რეგულაცია. არსებობს მხოლოდ ჩანაწერი დოკუმენტში ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი" (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11, **მუხლი 5, პუნქტი 6, კ)** ქვეპუნქტი, რომ ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის დაწესებულებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები: (მათ შორის)

კ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე;

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები და აღნიშნული მიმართულებით პერსონალისათვის ცოდნის დადასტურების მექანიზმი, მათ შორის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფის ფორმა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; ნებართვა უნდა იყოს ბავშვის პირადი საქმის ნაწილი.

რჩევა

შესაძლებელია დაწესებულებამ შეიმუშაოს ერთი საერთო მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელშიც თავებად გაწერს ბავშვის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმებს, პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურები, მათ შორის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფის ფორმა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე. მოცემული ინდიკატორის შესაბამისობის სავალდებულოობა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღება/გამოქვეყნების ნაწილში გათვალისწინებულია ასევე მე-3 სტანდარტის, მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის 1 ინდიკატორის მოთხოვნებით.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება შეიმუშავებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გამოყენების, გამჟღავნების, განკარგვისა და კონფიდენციალობის დაცვის პროცედურებს და

აღნიშნული მიმართულებით პერსონალისათვის ცოდნის დადასტურების მექანიზმს, მათ შორის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფის ფორმას ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე; ნებართვა იქნება ბავშვის პირადი საქმის ნაწილი 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ,,ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 23/01/2026 წლის ბრძანება N11);
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ნოემბრის N27 დადგენილება ,,ადრეული აზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალისათვის სამსახურებრივი ინსტრუქციების, ქცევისა და ეთიკის ნორმების“ დამტკიცების შესახებ;
3. ,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბვშვო ბაღებისათვის ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესი“ (,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბვშვო ბაღებისათვის ,,ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მარეგულირებელი წესის“ დამტკიცების შესახებ გაერთიანების დირექტორის 27/01/2026 წლის N14 ბრძანება);

4. ,,ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების ბავშვთა ძალადობაზე ეჭვის შემთხვევის რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 27/01/ 2026 წლის N15 ბრძანება;

5. ,,საგანგებო სიტუაციათა მართვის გეგის შემუშავებაში“დახმარების თაობაზე - მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 38 2026 წლის 11 თებერვლის;

4. ,,სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მომზადებაში“დახმარების თაობაზე - მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 35 2026 წლის 04 თებერვლის;

5. საყდრის საბავშვო ბაგა- ბაღის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: |
|---|

| 4.6 ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | | | |
|---|---|---|---|
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.7. ფინანსური რესურსი
## 4.7.1. დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

### 1. დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის შესაბამისობის დასადასტურებლად სტატუსის მაძიებელი დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების" -2026 წლის გეგმა-პროექტის დამტკიცების და სუბსიდიის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 19 თებერვლის N გ-97.97260501 განკარგულება. დოკუმენტით ჩანს რომ, დაწესებულება განკარგავს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებს განსაზღვრული სუბსიდიის ფარგლებში. დაწესებულებას საკუთარი შემოსავლები არ გააჩნია. მაგრამ დოკუმენტი ,,ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების" -2026 წლის მერთან შეთანხმებული და დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული მუხლობრივ ჭრილში ჩაშლილი ბიუჯეტი არ არის წარმოდგენილი, რომელიც ნათელ სურათს მოგვცემდა ბიუჯეტის განკარგვის თაობაზე დამტკიცებული პროგრამების განხორციელებაზე.
ასევე, იმისათვის რომ შეფასდეს ინდიკატორის შესაბამისობა, დაწესებულებას არ აქვს თავად ,,სამოქმედო გეგმა", რომლის შემუშავება/დამტკიცება გაწერილი აქვს წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 12 თვიან პერიოდზე. აქვე უნდა აღინიშნოს რომ, დაწესებულების მიერ შედგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაც არ მოიცავს საჭირო ფინანსური რესურსების გათვლას. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობების/ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფისათვის საჭირო რესურსების გათვლის შემდეგ, შესაძლებელი იქნება დადგინდეს გეგმის რეალისტურობა, ანუ შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება, დაწესებულებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურესით, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა წარმოდგენილი დოკუმენტით დამტკიცებული სუბსიდიით სახელფასო ხარჯის (89 %) გარდა, მისიით დაკისრებული საქმიანობის განსახორციელებლად დაწესებულებას მთლიანი სუბსიდიის მხოლოდ 11 პროცენტი აქვს დარჩენილი.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ სრულყოს დოკუმენტი ,,ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმა" - დოკუმენტში უნდა გაიწეროს სამოქმედო გეგმის ფორმატი და სავალდებულო რეკვიზიტები, მათ შორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ჯეროვანი შესრულება ,,სამოქმედო გეგმის“ შემუშავება/დამტკიცების საკითხში.
დაწესებულებამ შეადგინოს და დაამტკიცოს 2026 წლის ბიუჯეტი ,,სამოქმედო გეგმის“ ფინანსური უზრუნველყოფის გათვალისწინებით.
რჩევა
სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ 2026 წლის ,,სამოქმედო გეგმა“ უნდა შეადგინოს დამტკიცებული 2026-2030 წლის სტრატეგიული გეგმის“ შესაბამისად.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება სრულყოფს დოკუმენტს ,,ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2026-2030 წლების სტრატეგიული გეგმას“ - დოკუმენტში გაიწერება სამოქმედო გეგმის ფორმატი და სავალდებულო რეკვიზიტები, მათ შორის ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფის შესაძლებლობა.
დაწესებულება უზრუნველყოფს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის ჯეროვანი შესრულებას ,,სამოქმედო გეგმის“ შემუშავება/დამტკიცების საკითხში.
დაწესებულება შეადგენს და დაამტკიცებს  წლის ბიუჯეტს ,,სამოქმედო გეგმის“ ფინანსური უზრუნველყოფის გათვალისწინებით 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 2. დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება ფინანსური რესურსების სწორად და ეფექტურად განაწილების მიზნით უნდა ახორციელებდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების  სწორ დაგეგმვას და საჭირო რესურსების გათვლას. დაწესებულებას კი საერთოდ არ აქვს იდენტიფიცირებული და აღწერილი დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები, რაც დაწესებულებას საშუალებას მისცემდა სუბსიდიის ფარგლებში შეედგინა სწორი პროგრამული ბიუჯეტი (ამ  მოთხოვნის შეუსაბამობა აღწერილია მე-4 სტანდარტის მე-2 კომპონენტის პირველი კრიტერიუმის პირველ ინდიკატირში), აქ მოიაზრება სწორედ, დამტკიცებული კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად   საჭირო საგანმანათლებლო რესურსების შეძენა-განახლება ბავშვების რაოდენობის გათვალისწინებით, გარემოს შესაბამისი მოწყობის  უზრუნველყოფა და სხვა.

დაწესებულებას  ასევე წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“- (ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების

შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 30.01.2026 წლის N 7 ბრძანება), რომელშიც გაწერილი აქვს გარემოს ინფრასტრუქტურული მოწყობის და მატერიალური რესურსების (მათ შორის ადამიანური) საკმარისობის წესი ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობაში. მაგრამ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი და ოპტიმალური რაოდენობა განსაზღვრული და დამტკიცებული არ აქვს, რის გამოც, შესაბამისად ვერ შეფასდება მათი ფინანსური უზრუნველყოფა. ანუ, თუ არ ვიცით რა და რამდენი რესურსია საჭირო კურიკულუმის უზრუნველყოფისათვის, ვერ გვეცოდინება, რა ფინანსური რესურსია საჭირო, შესაბამისად ვერ შეფასდება დაწესებულების ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება უზრუნველყოფს თუ არა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია
აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობისათვის დაწესებულებას დასჭირდება საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. კერძოდ პირველ რიგში უნდა შეიმუშაოს/სრულყოს სხვადასხვა მარეგულირებელი დოკუმენტები: ,,ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ,,საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, ,,კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი“, ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი“, რის მიხედვითაც მოახდენდა ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის სწორად დაგეგმვა-განაწილება-განკარგვას სხვადასხვა მიმართულებებში. სწორად დაგეგმილი და განაწილებული ფინანსური რესურსები დაარეგულირებდა ინდიკატორის შესაბამისობას - უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა.

რჩევა
..............................................................................................................................................................................................................
..............................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრისადმი მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, დაწესებულება კომპლექსურად შეიმუშავებს/სრულყოფს სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს: ,,ძირითადი, მმართველობითი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღმწერები“, ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ,,საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი“, ,,კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი“, ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მარეგულირებელი წესი“, რის მიხედვითაც მოახდენს ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიის სწორად დაგეგმვა-განაწილება-განკარგვას სხვადასხვა მიმართულებებში, რამეთუ, სწორად დაგეგმილი და განაწილებული ფინანსური რესურსები დაარეგულირებს ინდიკატორის შესაბამისობას - უზრუნველყოფილი იქნება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების მიღწევა 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს დადგენილი შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

## 3. დაწესებულებას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტატუსის მაძიებელს არ აქვს ფინანსური რესურსების მართვის საკუთარი სისტემა, რომელშიც გაწერილი იქნებოდა ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და სხვა შინაარსობრივი მხარე. ვინაიდან დაწესებულება არის მუნიციპალიტეტის მერის მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში სკოლამდელი განათლების სფეროს რეგულირებისათვის დაფუძნებული საჯარო დაწესებულება, მისი საქმიანობა რეგულირდება მუნიციპალიტეტში არსებული საკანონმდებლო ნორმატიული აქტებით და სრულად მათი რეგულაციების ფარგლებში განაგებს/მოიხმარს ფინანსურ სახსრებს. ხოლო მონიტორინგის განხორციელება საბიუჯეტო სახრების ხარჯვაზე უშუალოდ მერიის შესაბამისი სამსახურების მეშვეობით ხდება, მით უფრო ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნით დაფინანსების წესსა და ფორმას სკოლამდელ დაწესებულებას უდგენს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საკრებულო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშგების პერიოდი დაწესებულებისათვის ამჟამად გასული არ არის, რათა მოხდეს მათი შესრულების შეფასება.

**აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-2 პუნქტი;
2. ,,ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ -2026 წლის გეგმა-პროექტის დამტკიცების და სუბსიდიის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 19 თებერვლის N გ-97.97260501 განკარგულება.
3. ,,ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“- (ააიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ გაერთიანების დირექტორის 30.01.2026 წლის N 7 ბრძანება),
4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.7 ფინანსური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## ნაწილი IV. დანართების სახით წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

| 1. სავალდებულო დანართის დასახელება |
|---|
| ვიზიტის დღის წესრიგი |
| 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |
| 4.5. კოსმპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი |

| დანართის N | 2. სხვა დანართის დასახელება |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |

<u>თარიღი</u> 19/05/2026 წ.

ხელმომწერი
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი:

ჯგუფის თავმჯდომარე
/ხარისხის ექსპერტი/ /ე. გაბრიაძე-კაკაბაძე/

ჯგუფის წევრი:
/კურიკულუმის ექსპერტი/ /ნ. მამრიკიშვილი/

ჯგუფის წევრი:
/კვების დარგში ექსპერტი/ /მ. გორგილაძე/

ჯგუფის წევრი:
/სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი/ /შ. მახარაძე/

დანართი №1

## 4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება.<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): საყდრის საბავშვო ბაღი | ბრძანების N: 230350 26/02/2026 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: რაიონი ლენტეხი, სოფელი საყდარი.<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 18-19 მარტი 2026 წ. |

კრიტერიუმი 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

| N | ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან<br>2. მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 34 03.02.2026 წ.<br>3. მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 35 04.02.2026 წ.<br>4. მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 36 11.02.2026 წ.<br>5. მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 37 11.02.2026 წ.<br>6. მიმართვა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერისადმი N 38 11.02.2026 წ.<br>7. ა(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი (ბრძანება N7 20.01.2026 წ.)<br>8. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |
| 3 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დაწესებულება უზრუნველყოფს სააღმზრდელო-საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი ბავშვთა რაოდენობის გათვალისწინებით; | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | 1.დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, დათარიღებული 06/10/2020 წ. საკადასტრო კოდით 87.05.34.016. მესაკუთრედ დაფიქსირებულია სსიპ ლენტეხის მუნიციპალიტეტი ID 234065560; წარმოდგენილი ამონაწერით დასტურდება რომ, მითითებული საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ობიექტი, დაწესებულებას საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არ აქვს გადაცემული. ამას გარდა, ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუს მეშვეობით მიღებულია ინფორმაცია რომ, შენობის გარკვეულ ფართში ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მიმართვა მუნიციპალიტეტის მერისადმი აღნიშნულთან მიმართებით დახმარების აღმოჩენის თხოვნით. (2026 წლის 11 თებერვლის მიმართვა N37);<br>2.დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობების სქემა/შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზი; დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მიმართვა მუნიციპალიტეტის მერისადმი აღნიშნულთან მიმართებით დახმარების აღმოჩენის თხოვნით. (2026 წლის 11 თებერვლის მიმართვა N36);<br>3.დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ, გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მიმართვა მუნიციპალიტეტის მერისადმი აღნიშნულთან მიმართებით დახმარების აღმოჩენის თხოვნით (2026 წლის 3 თებერვლის მიმართვა N34). აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის ღონისძიება დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 24 თვიან პერიოდზე, მაგრამ აქვე დასძენს- (ციტატა) ,,თუმცა,რადგან ახალი შენობა აშენდება ბაღისათვის და შესაბამისად მას ექნება დოკუმენტი, რომელიც შენობის ვარგისიანობას დაადასტურებს"<br>4.დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ მიმართვა მუნიციპალიტეტის მერისადმი აღნიშნულთან მიმართებით დახმარების აღმოჩენის თხოვნით. (2026 წლის 4 თებერვლის მიმართვა N35). | 1.დაწესებულებამ მოიპოვოს/განაახლოს შენობა-ნაგებობის რაიმე სახის საკუთრებაში/კანონიერ სარგებლობაში ფლობის დამადასტურებელი დოკემენტები (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი) და განაახლოს საჯარო რეესტრში რეგისტრაცია მინიმუმ მოთხოვნილი ავტორიზაციის ვადით;<br>2.დაწესებულებამ მოიპოვოს შენობა-ნაგებობების სქემა/შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3.დაწესებულებამ მოიპოვოს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ, გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ;<br>4.დაწესებულებამ მოიპოვოს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და არსებობის შემთხვევაში - გაცემული მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოფხვრაზე. | სასურველია დაწესებულებამ გაითვალისწინოს, თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენება, მაშინ დაწესებულების მიერ გამოყენებული ფართი გამიჯნული უნდა იყოს იმავე სივრცეში არსებული სხვა ფართისაგან. ეს ფაქტი უნდა დასტურდებოდეს დოკუმენტებით, ასევე ჩანდეს და იკითხებოდეს შენობა-ნაგებობის შიდა აზომვით ნახაზზე. | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობების აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | დაწესებულებას აქვს შენობა-ნაგებობის სქემა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებას აქვს დოკუმენტი შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგომარეობის დადგენის შესახებ (გაცემული შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს ან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| 2 | დაწესებულება აკმაყოფილებს ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების მიმართ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს | | | | | | | | |
| 2.1. | დაწესებულებას აქვს შენობის ექსპლუატაციაში მიღების შესახებ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული აქტი (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ნებართვა გაიცემულია 2023 წლის 21 თებერვლის შემდეგ) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.2. | მოთხოვნები დაწესებულების შენობა-ნაგებობის მიმართ | | | | | | | | |
| | დაწესებულება განთავსებულია პირველ, პირველ და მეორე, პირველ, მეორე და მესამე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | შენობა-ნაგებობა, სადაც სტატუსის მაძიებელი დაწესებულებაა განთვსებული ერთსართულიანია. | | | |
| | ჯგუფური ოთახები განთავსებულია პირველ ან/და მეორე სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განთავსებულია:** | | | | | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ღია სარეკრეაციო სივრცეები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცე ფიზიკური აქტივობებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სასკოლო მზაობის ჯგუფ(ებ)ი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **მესამე სართულზე სასკოლო მზაობის ჯგუფების განთავსების შემთხვევაში:** | | | | | | | | |
| | ამავე სართულზე განთავსებულია სანიტარული კვანძ(ებ)ი ბავშვებისათვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მესამე სართულის კიბის უჯრედს კიბის დასაწყისში აქვს დამცავი ბარიერი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| 2.3. | დაწესებულებაში, შიდა და გარე ტერიტორიაზე, განთავსებულია შემდეგი სავალდებულო სივრცეები: | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახ(ებ)ი ან/და კურიკულუმის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე - საერთო სივრცე, ამასთან ყველა ჯგუფი უზუნველყოფილია ინდივიდუალური ჯგუფური ოთახით ან კურიკულუმის მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული საერთო სივრცით ბავშვზე არანაკლებ 2კვმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | საძინებელი ოთახი/მოსასვენებელი სივრცე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული და სკოლამდელი განათლების პირველი წლის ჯგუფებში საძინებელი [illegible] | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გასახდელი ზონა, რომელშიც გამოყოფილია სივრცე თითოეული ბავშვისთვის პირადი ნივთების შესანახად | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულება ერთი შერეული ჯგუფით ფუნქციონირებს. ჯგუფური სივრცე ორი ოთახისაგან შედგება.<br>მოსასვენებელი სივრცე მოწყობილი აქვთ ერთ მათგანში. აქტივობების ოთახში მოწყობილია გასახდელი ზონა- გამოყოფილია კარადა ბავშვებისათვის პირადი ნივთების შესანახად.<br>დაწესებულებას აქვს სანიტარული კვანძი - ერთი იზოლირებული კაბინა ბავშვებისთვის ერთი უნიტაზით<br>და ერთი იზოლირებული კაბინა პერსონალისთვის. სანიტარულ კვანძში არის ერთი საერთო ხელსაბანი.<br>დაწესებულებას არ აქვს ოთახი დირექტორისათვის და თანამშრომლობითი საქმიანობისთვის;<br>არ აქვს დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი.<br>არ აქვს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე. დაწესებულებაში მოწყობილია კვების ბლოკი.<br>სამეურნეო ზონის ნაცვლად აქვს კარადა/სათავსო სამეურნეო ინვენტარის განსათავსებლად სანიტარულ კვანძში.<br>რადგან დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში.<br>დაწესებულებაში არ არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის<br>დაწესებულება არ არის უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. გათბობის წყაროდ გამოყენებულია შეშის ღუმელები.<br>დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას.<br>დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა. | სტატუსის მაძიებელ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. 4.3 კომპონენტის შესაბამისობაში მოსაყვანად გაწერილი აქვს რიგი ღონისძიებები და აქტივობები 24 თვიან პერიოდში, რაც საშუალებას იძლევა მათ ნაწილობრივად შესაბამისად შესაფასებლად, მაგრამ სავალდებულო სივრცეების მოსაწყობად დამატებით გასატარებელია რიგი ღონისძიებებისა. მათ შორის: მოსაწყობია ადმინისტრაციული სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის, დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისათვის/დარბაზი, პანდუსი შშმ პირებისათვის. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობების აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | სანიტარული კვანძი ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სანიტარული კვანძი/კაბინა პერსონალისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადმინისტრაციული სამყოფები (მათ შორის სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | თუ დახურული სივრცე სენსო-მოტორული აქტივობებისთვის/დარბაზი განთავსებულია ნახევარსარდაფში, აღნიშნული სივრცე უზრუნველყოფილია გათბობის სისტემით და ბუნებრივი განათება-განიავების პირველადი წყაროთი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სამედიცინო მომსახურების სივრცე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | კვების ბლოკი | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | სამეურნეო ზონა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ბავშვების ჯგუფური ოთახ(ებ)ი განთავსებულია პირველ სართულზე | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ადრეული ასაკის (2 წლამდე) ჯგუფის ბავშვებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია სპეციალური სივრცე მეძუძური დედებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა მიზნებისთვის, დაწესებულების პროგრამებში ჩართული ბავშვებისთვის მოწყობილია ინდივიდუალური/იზოლირებული შესასვლელი შენობაში | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, სადაც ამავდროულად ხდება სხვა ტიპის მომსახურების მიწოდება სხვა ასაკის ბავშვებისთვის, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ჯგუფური ოთახები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის პანდუსი ან/და ლიფტი/ბაქან ლიფტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | მცირეკონტიგენტიან დაწესებულებაში (არაუმეტეს 2 ჯგუფი/60 ბავშვი) გათბობის წყაროდ გამოყენებულია დახურულ ზედაპირიანი ელექტროგამათბობელი | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების შიდა სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი ვიზუალური მინიშნებებით, რაც უზრუნველყოფს სივრცეში ბავშვების მარტივ ორიენტაციას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის გამოყენებული აზბესტის შემცველი მასალა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.4.** | **მოთხოვნები სანიტარული კვანძების მოწყობის მიმართ - დაწესებულებას გააჩნია, კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი რაოდენობის მოქმედი ტუალეტის კაბინები და ხელსაბანები ბავშვებისთვის და პერსონალისათვის (WASH ინდიკატორი)** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის უნიტაზი - ყოველ 15 ბავშვზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებაში არის ერთი უნიტაზი მოთხოვნილ 15 ბავშვზე არასაბავშვო ზომის,<br>დაწესებულებაში არის ერთი ხელსაბანი მოთხოვნილ 15 ბავშვზე არასაბავშვო ზომის,<br>დაწესებულებაში სანიტარულ კვანძში დაცულია პრივატულობა.<br>დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის.<br>დაწესებულების ტერიტორიაზე არ არის არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირებისთვის. | დაწესებულებას 4.3 კომპონენტის 2.4 ინდიკატორის შესაბამისობაში მოსაყვანად წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვიან პერიოდზე და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი შესრულება. | | |
| | დაწესებულებაში არის არანაკლებ ერთი საბავშვო ზომის ხელსაბანი ნიჟარა - ყოველ 20 ბავშვზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის პისუარი - ყოველ 20 ბიჭზე (არსებობის შემთხვევაში) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში არის 1 საბავშვო ზომის ღამის ქოთანი - ყოველ 10 ბავშვზე (არსებობის შემთხვევაში, გარდა სასკოლო მზაობის ჯგუფებისა) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში მოქმედ სანიტარიულ კვანძებში პრივატულობის დაცვის მიზნით: მოწყობილია ტუალეტის კაბინები და ტუალეტის კაბინის კარი იღება გარეთ, აწეულია იატაკის დონიდან და იკეტება შიგნიდან გარედან გაღების შესაძლებლობით | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ბავშვებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ადაპტირებული კაბინების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებულია არანაკლებ ერთი ადაპტირებული სან.კვანძი/კაბინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **ზრდასრული პირებისთვის** (ზრდასრულის და ბავშვების ერთ სივრცეში განთავსების შემთხვევაში უზრუნველყოფილია პრივატულობის დაცვა და უნიტაზები გამიჯნული იქნება ერთმანეთისგან კაბინებით.) **(WASH ინდიკატორი)** | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების სანიტარული კვანძებისა და სამრეცხაოს ფანჯრები არ არის განთავსებული ჯგუფური ოთახის და საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.5.** | **მოთხოვნები დაწესებულების ეზოს/გარე სივრცისადმი** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას აქვს ეზო ან/და გარე სივრცე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებას წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით, არც სხვა რაიმე დოკუმენტით არ უდასტურდება ბავშვთა მოთხოვნილი რაოდენობის შესაბამისი ფართის ეზო. ადგილზე ვიზიტის დროს დაფიქსირდა შენობის მიმდებარედ არსებული ტერიტორია/მოწის ნაკვეთი. დაწესესებულების დირექტორმა ინტერვიუში, განმარტა, რომ ეზო კერძო პირის საკუთრებაა და ზეპირსიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე დროებითი სარგებლობის წესით იყენებს ბავშვების სათამაშოდ. ეზო არ არის შემოფარგლული ღობით. შენობაში ბაღის ბავშვებისათვის შესასვლელი სივრცე იზოლირებულია და შემოღობილია მყარი მასიური შემოზღუდვით , მაგრამ ის არ არის 1.6 მ სიმაღლის. | დაწესებულებამ უნდა მოაწესრიგოს დოკუმენტაცია არსებული ეზოს ფართის სარგებლობის თაობაზე - კერძო პირთან ხელშეკრულების/მემორანდუმის გაფორმების სახით ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეზო/გარე სავრცე უნდა შემოიფარგლოს არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ უნდა აღემატებოდეს 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ უნდა ჰქონდეს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. ასევე დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს ის გარემოება, რომ თუ ეზო პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისათვის, ბაღის ბავშვებისათვის უნდა გამოიყოს სივრცე იზოლირებულად. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც დეტალურადაა გაწერილი მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობების აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | ეზოს/გარე სივრცის მინიმალური ფართი ერთ ბავშვთან მიმართებაში არის არანაკლებ 3 კვ.მ. (აღნიშნული თანაფარდობა დაცულია იმ შემთხვევაშიც თუ დაწესებულება მდებარეობს სახელმწიფო სარგებლობაში არსებული სარეკრეაციო ზონის ტერიტორიაზე/მომიჯნავედ და იყენებს მას. სარეკრეაციო ზონის კერძო საკუთრებაში არსებობის შემთხვევაში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულება/მემორანდუმი სარეკრეაციო ზონის მფლობელთან ტერიტორიის გამოყენებასთან დაკავშირებით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზო/გარე სავრცე შემოფარგლულია არანაკლებ 1,6 მ სიმაღლის მყარი შემოზღუდვით/ღობით. არსებობის შემთხვევაში, ვერტიკალური ღიობები არ აღემატება 0,1 მ-ს. შემოზღუდვას/ღობეს არ აქვს ბასრი კიდეები, წვეტიანი, გამოშვერილი ნაწილები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს მასთან დაჯახების შემთხვევაში. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | გარე სივრცედ შენობის სახურავის გამოყენების შემთხვევაში, ყველა სავენტილაციო დგარი დაჯგუფებულია და ცდება სახურავის დონეს არანაკლებ 3მ-ის სიმაღლეზე. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ დაწესებულება განთავსებულია შენობაში, რომელიც პარალელურად გამოიყენება სხვა საქმიანობისთვის, დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში გამოყოფილია იზოლირებული სივრცე ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| **2.6.** | **ეზოში/გარე სივრცეში განთავსებულია ქვემოთ ჩამოთვლილი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები (შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც ინდივიდუალური, ისე კომბინირებული კონსტრუქცია)** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მზისგან და წვიმისაგან დამცავი საშუალება/საჩრდილობელი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულების ეზოში/გარე სივრცეში არ არის განთავსებული 2.6 ინდიკატორით განსაზღვრული არც ერთი სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეები.<br>ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არ არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას. მოცემული ინდიკატორის მოთხოვნათა შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 24 თვიან პერიოდში. | დაწესებულებას 4.3 კომპონენტის 2.6 ინდიკატორის შესაბამისობაში მოსაყვანდ წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვიან პერიოდზე და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი შესრულება. | | |
| | სასრიალო | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საქანელა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საქვიშე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სათამაშო სახლი/კარავი/სივრცე განმარტოებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სკამები/ დასაჯდომი და მაგიდა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი და აღჭურვილი დრამატული თამაშებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | საცოცი/ასაძრომი და გასაძრომი კონსტრუქციები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ბალანსის აღჭურვილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სივრცე მოწყობილი სენსორული განვითარებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის მოწყობილობები ითვალისწინებს ბავშვის ასაკსა და სიმაღლეს, დამზადებულია გლუვზედაპირიანი მასალისაგან, ხოლო კონსტრუქციული გადაწყვეტა უსაფრთხოა გამოყენების დროს, იგი დამაგრებულია მყარად, არ არსებობს ტრამვის საფრთხე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოში/ გარე სივრცეში იმ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვის გადმოხტომა ან გადმოვარდნა 50 სმ და მეტი სიმაღლიდან, ზედაპირი დაფარულია რბილი საფარით (მაგ. ხის ანათალით, ნახერხით, ბალახის საფარით, ქვიშით, რბილი ხელოვნური ზედაპირით და სხვა.) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/გარე სივრცის თავშეყრის ადგილებში (მაგრამ არა ფიზიკური აქტივობის ზონებში) გამოყენებულია მოცურების საწინააღმდეგო ზედაპირი, რომელიც ამ თვისებას დასველების შემთხვევაშიც ინარჩუნებს (დასაშვებია - ასფალტი, დაღერღილი ქვა, ხაოიანი ზედაპირის კერამიკული ფილები და მათი ანალოგი. აკრძალულია შემდეგი ტიპის ზედაპირის გამოყენება - პრიალა ქვის ფილები, ბეტონი, მახვილკიდეებიანი ფილები, უხეში ღორღი. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ეზოს/ გარე სივრცის ტერიტორიაზე არის განათების წყარო, რაც უზრუნველყოფს შენობამდე დაუბრკოლებლად მისვლას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **2.7.** | **მოთხოვნები ფიზიკური უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით** | | | | | | | | |
| | **ფანჯრების და მინის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | მინის ტიხრები და კედლები, ასევე შიდა კარები, რომელიც ნაწილობრივ შემინულია, უნდა დამზადდეს მსხვრევის საწინააღმდეგო ფირით დაფარული ან ნაწრთობი მინისგან ან ისეთი ტექნოლოგიით, რომ დამსხვრევის შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე ადამიანის უსაფრთხოებას. (თუ შემინული კედელი ბავშვისთვის მისაწვდომი არ არის, მაშინ მინის საგანგებოდ შერჩევის საჭიროება არ არსებობს.) | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულების შიდა სივრცეში არ არის მინის ტიხრები და კედლები. დაწესებულებას გარე სივრცეში არ აქვს მინის ვიტრაჟები. დაწესებულების შიდა სივრცეში არ არის უჩარჩოო მინის კარები, არის მხოლოდ ზედა ნაწილში მინის ელემენტის შემცველი შენობაში შესასვლელი კარი, რომელიც ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი არ არის. დაწესებულებაში ჯგუფურ უჯრედებში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ია.<br>სივრცეში სადაც ბავშვები ხვდებიან ფანჯრებზე არაა მოწყობილი კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი და ბადის ჩაჭრისათვის საჭირო მოწობილობა. აღნიშნული დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 24 თვიან პერიოდში. | დაწესებულებას 4.3 კომპონენტის 2.7 ინდიკატორის შესაბამისობაში მოსაყვანდ წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა 24 თვიან პერიოდზე და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი შესრულება. | | |
| | მინის გარე ვიტრაჟთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მდებარეობს მინიმუმ 100 სმ. სიმაღლის დამცავი ბარიერი, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის შესაძლებლობას. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | უჩარჩოო მინის კარები და მინის ელემენტების შემცველი კარები მარკირებულია, მინის კარების ფრთები მომიჯნავე მინის კედლებისაგან განსხვავებულად არის მარკირებული. კარების სახელურები კარების ფერთან კონტრასტული ფერისაა | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | მინის კარებზე მარკირება არის ჰორიზონტალურად, ორ სიმაღლეზე - 90 სმ და 150 სმ შესაბამისად.<br>მარკირება არის ძირითად ფონთან კონტრასტული და დატანილი შუშის ორივე მხარეს, რაც ამცირებს ანარეკლს. მარკირების ველი არის არანაკლებ 5 სმ სიგანის. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ ჯგუფურ უჯრედში ფანჯრის რაფის სიმაღლე იატაკის დონიდან 90 სმ-ზე ნაკლებია, ფანჯრის გარე/შიდა მხრიდან მოწყობილია დამცავი ბარიერი არანაკლებ 100 სმ სიმაღლისა, რომლის კონსტრუქციის ტიპით გათვალისწინებულია ვერტიკალური დგარები ან ბრტყელი ზედაპირი. დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. ბარიერის ზედაპირის სიმაღლე გამორიცხავს მასზე ბავშვის ასვლის საშუალებას | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულების ყველა იმ სივრცეში, სადაც ბავშვები ხვდებიან და სადაც ფანჯრებზე მოწყობილია გაღების მექანიზმი, მოწყობილია კედლებში მყარად ჩამაგრებული და დაჭიმული ნაქსოვი ბადის ბარიერი, რომლის მასალა და მოწყობის სპეციფიკაცია უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხოებას და საჭიროების შემთხვევაში, ბადის უმოკლეს დროში ჩაჭრას. ნაქსოვი ბადის კონსტრუქციით გათვალისწინებულ დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ-ს და გათვლილია არანაკლებ 30 კგ-ზე. | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | იმ ფანჯრებზე, სადაც მოწყობილია დამცავი ბადე, ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე განთავსებულია ბადის ჩაჭრისთვის საჭირო მოწყობილობა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **კიბის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | კიბის უჯრედი მოპირკეთებულია გლუვი, მოცურების საწინააღმდეგო მასალით, რომელიც ინარჩუნებს თავის თვისებებს სველ მდგომარეობაშიც | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | შენობას აქვს ერთი შესასვლელი, რომელიც არ საჭიროებს კიბეს, აქვს მხოლოდ მიწის დონიდან ქვაფენილი, რომელიც მოცურების საწინააღმდეგო მასალითაა დამზადებული. შესაბამისად არ არის კიბის სახელური, მოაჯირი. | | | |
| | თუ იატაკის ზედაპირი განსხვავებული დონისაა და წარმოქმნის საფეხურს ან/და თუ შენობის შიდა/გარე კიბის საფეხურები არ არის ერთნაირი გეომეტრიის (საფეხურის ზომების, სიღრმისა და სიმაღლის მიხედვით), კიბის დასაწყისში და დასასრულს და ასევე განსხვავებულ საფეხურზე, საფეხურის მთელ სიგანეზე გამოყენებულია თვითწებვადი ლენტი/კონტრასტული ფერები/განსხვავებული სტრუქტურის მასალა/საფეხურის განათებები/გარჩევადი გამაფრთხილებელი ნიშნები | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში კიბის უჯრედის სახელურის სიმაღლე ბავშვებისათვის არის 50 (+ - 5 სმ) სმ. უფროსებისათვის კი არანაკლებ – 85 სმ. | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში არ არის ხვეული კიბეები (არსებობის შემთხვევაში არ გამოიყენება) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბეს ორივე მხრიდან მიყვება მოაჯირი (გარდა იმ შემთხვევისა, თუ მას ესაზღვრება კედელი/კედლები) და უწყვეტი სახელური | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | კიბის მოაჯირის კონსტრუქცია არის ვერტიკალური დგარებით ან ბრტყელი ზედაპირით. ვერტიკალური დგარებს შორის დაშორება არ აღემატება 10 სმ. მოაჯირებზე/სახელურზე არ არის წვეტიანი ელემენტები | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | თუ კიბის სიგანე 500 სმ-ს აღემატება, კიბეზე განთავსებულია დამატებითი მოაჯირი/მოაჯირები. | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | **კუთხეების/კოლონების/კედლების უსაფრთხოება** | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | დაწესებულებაში, ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, კოლონებსა და კედლის კუთხეებს არ აქვთ 0,5 სმ-იანი რადიუსის მომრგვალება ან კონტრასტული ფერის შესაბამისი დამცავი. კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე არ არის მარკირება. აღნიშნულის შესაბამისობაში მოყვანა დაწესებულებას გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 24 თვიან პარიოდში. შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, დგას მახვილი კუთხის მქონე შეშის გამათბობელი, რომელიც არ არის დაფარული ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას. | აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ უზრუნველყოს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება. ხოლო შეშის ღუმელები ჩაანაცვლოს ელექტროღუმელებით და დაიცვას იგივე მოთხოვნები, რასაც ინდიკატორი ითვალისწინებს ზოგადად მახვილი კუთხეების მქონე გამათბობელების მიმართ. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | კოლონებზე და სხვა მსგავს ბარიერებზე მარკირება განთავსებულია სამ სიმაღლეზე: იატაკის დონეზე და იატაკის დონიდან 90 სმ და 150 სმ-ზე | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ბავშვთა თავშეყრის ადგილებში, 200 სმ-ის სიმაღლემდე არ არის ბასრი კიდეები, წვეტიანი გამოშვერილი ნაწილები და არანაირი ისეთი ელემენტები, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ბავშვებისთვის | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | შენობის იმ სივრცეებში, სადაც ბავშვები ხვდებიან, მახვილი კუთხის მქონე გამათბობლები დაფარულია ეკრანით ან ცხაურით, რომელთა კონსტრუქციული მოწყობაც უზრუნველყოფს სველი წესით დასუფთავებას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **ინვენტარის უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებაში ბავშვთა თავშეყრის ადგილებში არსებული დენსართები განლაგებულია ბავშვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილზე. იმ დენსართებისთვის, რომლებიც ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია, უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დენსართებისთვის უზრუნველყოფილია უსაფრთხოების დაცვა. არ არის გამოყენებული არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურები. შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის. ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა არ არის საკმარისი მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობისათვის. | აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ უზრუნველყოს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება ნათურებთან მიმართებაში, გარდა ამისა დაწესებულებამ უზრუნველყოს საჭირო რაოდენობის მაგიდების და სკამების შესაბამისობა მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობაზე ზომების გათვალისწინებით. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | ნათურები დაფარულია დამცავი ფარით ან გამოყენებულია არამსხვრევადი მასალით დამზადებული ნათურა | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | სარკე (არსებობის შემთხვევაში) დამზადებულია დრეკადი მასალით ან სარკის ზედაპირი დაფარულია დამცავი ფირით | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | შენობაში ავეჯი მყარად არის დადგმული/მიმაგრებული იატაკზე ან კედელზე და უსაფრთხოა ბავშვებისთვის | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | ჯგუფურ ოთახში მაგიდებთან ადგილების რაოდენობა და სკამების რაოდენობა შეესაბამება ჯგუფში ბავშვთა რაოდენობას | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **ბავშვისთვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები შეესაბამება ქვემოთ მოცემულ ცხრილს (მოთხოვნილი პროგრამის შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების შესაბამისად), არასტანდარტული ბავშვის სიმაღლის ასაკთან შესაბამისად გამოყენებულია მისი სიმაღლის შესაფერისი მაგიდა და სკამი** | | | | | | | | |
| | 0-დან 2 წლამდე - მაგიდა 34-38სმ; სკამი18-21სმ | ☐ | ☐ | ☐ | ☐ | ბავშვებისათვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების ძირითადი ზომები არ არის სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისი. | დაწესებულებამ უზრუნველყოს ბავშვებისათვის განკუთვნილი მაგიდებისა და სკამების შეძენა სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისი ზომების გათვალიწინებით. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | 2-დან 3 წლამდე მაგიდა 40-44სმ/; სკამი 22-26სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | 3- დან 5 წლამდე მაგიდა 46-50სმ; სკამი 27-30სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | 5-დან 6 წლამდე მაგიდა 52-56სმ; სკამი 31-35სმ | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | **საწოლები ბავშვების ასაკის შესაბამისი ზომისაა:** | | | | | | | | |
| | 0-დან 3 წლამდე სიგრძე არანაკლებ 120სმ, სიგანე 60 სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | დაწესებულებაში სამი ორ იარუსიანი ასაკის შესაბამისი, მაგარ ძირიანი საწოლია შესაბამისი ლეიბებით, რომელსაც არ აქვს 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდე. ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე. დაწესებულება არ არის აღჭურვილი სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით). დაწესებულებაში სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფის ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე არ არის გათვალისწინებული საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით. აღნიშნული გაწერილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 24 თვიან პერიოდში. | აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებამ უზრუნველყოს მოცემული ინდიკატორის მოთხოვნების ჯეროვანი შესრულება, ასევე უზრუნველყოს საწოლების უსაფრთხოება დამცავი ზღუდით. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 24 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია |
| | 3-დან 6 წლამდე სიგრძე 140 სმ-ია, სიგანე 60სმ | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულებაში უზრუნველყოფილია: მაგარ ძირიანი გასაშლელი საწოლები და ლეიბები/ 1 ან 2-სართულიანი საწოლები ( 30 სმ სიმაღლის დამცავი ზღუდით) და ლეიბები/ სექციური ერთი, ორი ან სამ იარუსიანი საწოლები (რომლის პირველი, მეორე და მესამე იარუსის სიმაღლე ერთად არ აღემატება 125 სმ) და ლეიბები | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ჯგუფური ოთახის თაროები და კარადები განთავსებულია ბავშვისთვის ხელმისაწვდომ სიმაღლეზე | ☑ | ☐ | ☐ | ☐ | | | | |
| | დაწესებულება აღჭურვილია სულ მცირე ერთი ინტერნეტთან წვდომის მქონე კომპიუტერით და მრავალფუნქციური პრინტერით (სკანერის ფუნქციით) | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| | ადრეული განათლების პირველ, მეორე და სკოლამდელი აღზრდის პირველი წლის ჯგუფების ჯგუფური ოთახის განთავსების სართულზე გათვალისწინებულია საფენების გამოსაცვლელი მაგიდა, სათავსი საფენებისათვის და სათლი ავტომატური სატერფულით | ☐ | ☐ | ☑ | ☐ | | | | |
| **3** | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.** | | | | | | | | |
| 3.1. | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ შემდეგ მოთხოვნებს:** | | | | | | | | |
| | ჯგუფური ოთახების რაოდენობა/საერთო სივრცის ფართი | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის წესი" (,, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N 7 ბრძანება), რომელშიც გაწერილი აქვს გარემოს ინფრასტრუქტურული მოწყობის და მატერიალური რესურსების, მათ შორის ადამიანური, საკმარისობის წესი ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობაში.<br>დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში გაწერილია, რომ შემუშავებულია ცხრილი დანართი N1 - ,, ლენტეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, მაგრამ ცხრილს აქვს დრაფტის სახე და უშუალოდ საყდრის საბავშვო ბაღისათვის მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობაზე შევსებული ვარიანტი წარმოდგენილი არ არის, თუ რომელ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრა 15 ბავშვი? | დაწესებულებამ სრულყოს ,,ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის წესის" (,, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 იანვრის N 7 ბრძანება) დოკუმენტი - გაწეროს/შეავსოს დანართი N1 კონკრეტულად საყდრის ბაღისათვის, რითაც დაადასტურებს მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობასთან (15 ბავშვი) შესაბამის რესურსს. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია |
| | ეზოს/გარე სივრცის ფართი | | | | | | | | |
| | აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის თანაფარდობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის ხელსაბანების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის უნიტაზების/ღამის ქოთნების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა | | | | | | | | |
| | საძინებელი/მოსასვენებელი სივრცე და საწოლების რაოდენობა | | | | | | | | |
| | გასახდელი სივრცე | | | | | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.2. | **დაწესებულება ფლობს ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით დადგენილ რესურსებს** | ☐ | ☑ | ☐ | ☐ | დაწესებულებას გააჩნია ბავშვების მოთხოვნილ რაოდენობაზე შესაბამისი ჯგუფური სივრცე - ორი ოთახი.<br>აქვს შესაბამისი ფართის ეზო,<br>აქვს ხელსაბანი და უნიტაზი შესაბამისი რაოდენობის,<br>არ აქვს საბავშვო ზომის სკამებისა და მაგიდების რაოდენობა, რომელიც უნდა უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით,<br>აქვს საწოლების რაოდენობა 6 ბავშვზე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პირველი ჯგუფის ასაკის ბავშვებისათვის.<br>აქვს გასახდელი სივრცე აღჭურვლი შესაბამისი კარადით, საჭირო რაოდენობის ინდივიდუალური თაროებით.<br>ამას გარდა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში ,,ბავშვთა ზღვრული რაოდებობის განსაზღვრის წესი", მითითებულია რომ, დეკლარირებული კურიკულუმით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი გაწერილი აქვს ,,საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესში (,, ა(ა)იპ ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების საბავშვო ბაღებისათვის საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ" გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 იანვრის N 5 ბრძანება), მაგრამ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი და ოპტიმალური რაოდენობა განსაზღვრული და დამტკიცებული არ აქვს, რის გამოც, ასევე ვერ დასტურდება 2.2.2.2 ინდიკატორის და 4.7.1.2. ინდიკატორის შესაბამისობა.<br>აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დგინდება მოცემული ინდიკატორის შესაბამისობა. | მოცემული ინდიკატორის შესაბამისობაში მოსაყვანად დაწესებულებამ გაითვალისწინოს მისი მოთხოვნების ჯეროვნად შესრულება წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გემის მიხედვით.<br>ამას გარდა, საგანმანათლებლო პროცესების შეუფერხებლად უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებამ გაწეროს/დაამტკიცოს მინიმალური რესურსების ჩამონათვალი და ოპტიმალური რაოდენობა. | | დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის უკუკავშირის სახით, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მზაობის დასადასტურებლად, არგუმენტირებულ პოზიციად გასათვალიწინებლად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია მოცემული ინდიკატორის შეუსაბამობის აღმოფხვრა 12 თვიან პერიოდზე, რაც უზრუნველყოფს მათ სრულ შესაბამისობას.<br>აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია |

ე.გაბრიაძე-კაკაბაძე 19.05.2026 წ.

კითხვარის შევსების პროცესში აღნიშნული ფერით მონიშნული საკითხები არ ფასდება, თუ ის არ არის რელევანტური კონკრეტული დაწესებულებისთვის/დაწესებულების კონკრეტული მისამართისთვის.

დანართი №2

## 4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი

**საფირმო სახელწოდება:** ა.(ა).ი.პ.- „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება"
**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში):** საყდრის საბავშვო ბაღი

**სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 26 თებერვლის № MES 6 26 0000230350 ბრძანება**

**პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი:** რაიონი ლენტეხი, სოფელი საყდარი
(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)

**ვიზიტის თარიღი:** *18/03/2026*

**კრიტერიუმი 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას**

| ინდიკატორი 1. დაწესებულება იცავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების" ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კითხვარით განსაზღვრულ პირობებს | შესაბამისია | მეტწილად შესაბამისია | ნაწილობრივ შესაბამისია | არ არის შესაბამისი | დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
| | ■ | ■ | ■ | ■ | 1. 14. დანართი კვების მექანიზმი - მარეგულირებელი წესი და 14.15. დანართი ბრძანება N12 კვების მექანიზმის და 2 კვირიანი მენიუს კართოტეკები<br>2. 15. დანართი მენიუ და კერძების კარტოთეკა (2 კვირიანი პერსპექტიული)<br>4. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (4.4) |
| საგანმანათლებლო-საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ხანგრძლივობა | 9-ზე მეტი საათი | 5-დან 9 საათამდე | 3.5-დან 5 საათამდე 5 საათამდე | არაუმეტეს 3.5 საათისა | |
| | | √ | | | |
| კვების უზრუნველყოფის ფორმა | სტაციონალური კვებითი უზრუნველყოფა | სატელიტური სამზარეულო | მზა კერძების შესყიდვა ინდივიდუალური შეფუთვით | ჰიბრიდული მოდელი | |
| | √ | | | | |

## შესაბამისობის კითხვარი

| N | შეფასების ინდიკატორი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება | ინდიკატორის შესაბამისობის აღწერა | რეკომენდაცია | რჩევა | არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **მოთხოვნები კვების პროცესის ორგანიზებისადმი** | | | | | | | | |
| 1.1 | **დაწესებულებას შემუშავებული აქვს კვების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სულ მცირე ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხებს:** | | | | | „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება „საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღისთვის" შერჩეული აქვს სტაციონარული კვებითი უზრუნველყოფის ფორმა, რომლის მიხედვითაც ბავშვების კვება ორგანიზებულია უშუალოდ ბაღის ტერიტორიაზე არსებულ სამზარეულოში. მენიუში განსაზღვრული კერძები მზადდება ადგილზე და მიეწოდება აღსაზრდელებს ყოველდღიურად.<br>წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასახულია, რომ „ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანებას" გააჩნია „კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი" რომელიც დამტკიცებულია ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის №12 ბრძანებით.<br>შეფასებით დგინდება, რომ „საყდრის საბავშვო ბაგა-ბაღის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ნაწილობრივ აკმაყოფილებს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი მექანიზმის ნაწილში.<br>დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელი წესი, რომელიც ეფუძნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის №487 დადგენილებას. ასევე, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია მარეგულირებელი წესი, პერსპექტიული მენიუ და კერძების კარტოთეკა, რაც ადასტურებს, რომ საკითხი ადმინისტრაციულად მოწესრიგებულია.<br>დოკუმენტაციაში განსაზღვრულია ბავშვის კვებითი მდგომარეობისა და ალერგიის/კვებითი აუტანლობის შესახებ ინდივიდუალური ინფორმაციის შეგროვების ფორმატი. წესით გათვალისწინებულია, რომ ბავშვის ჩარიცხვის ეტაპზე ხდება შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება, გამოიყენება საინფორმაციო ფურცელი, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მშობლისაგან ან კანონიერი წარმომადგენლისაგან გამოითხოვება პედიატრის/ალერგოლოგის რეკომენდაცია. ამასთან, დოკუმენტურად გაწერილია მშობლის მიერ ბავშვისთვის საკვების მიწოდების პირობებიც, რაც მოიცავს კონტეინერის სისუფთავის, იდენტიფიკაციის, საკვების დასახელებისა და დამზადების თარიღის მითითების მოთხოვნებს. აღნიშნული მექანიზმი ქმნის ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების საფუძველს.<br>ამავე დროს, შეფასებით იკვეთება, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ალერგენების მართვის, ეტიკეტის წაკითხვის, ინდივიდუალურად მომზადებული კერძების მიწოდებისა და ჯვარედინი დაბინძურების პრევენციის საკითხები მხოლოდ ზოგადი ჩანაწერების დონეზეა ასახული. წესში მითითებულია სამზარეულოს პერსონალის ინფორმირება ალერგენ პროდუქტებსა და „ჯვარედინ დაბინძურებაზე", ასევე მძიმე ალერგიული რეაქციის შემთხვევაში მოქმედების ზოგადი გეგმა, თუმცა არ იკვეთება დეტალური SOP-დონეზე გაწერილი პროცედურები, სადაც მკაფიოდ იქნებოდა აღწერილი ალერგენების იდენტიფიცირება, ეტიკეტირების სავალდებულო შემოწმება, ინდივიდუალური კერძების მომზადებისა და გაცემის კონკრეტული ნაბიჯები, პერსონალის გადამზადების ფორმატი და პასუხისმგებელი პირების ქმედებათა თანმიმდევრობა. შესაბამისად, აღნიშნული მიმართულება დასახვეწია.<br>შეფასებით ასევე დგინდება, რომ დაწესებულებას გააჩნია საკვები პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლის მექანიზმი. დოკუმენტაციაში მითითებულია პროდუქტის მიღების ეტაპზე ვიზუალური/ორგანოლეპტიკური შეფასების განხორციელება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების კონტროლი, მზა კერძების ხარისხის კონტროლი, აგრეთვე მზა კერძების სინჯების აღება და 24 საათის განმავლობაში სამაცივრე პირობებში შენახვა, თითოეული კერძისთვის არანაკლებ 150 გრამის ოდენობით. მაგრამ, აღნიშნული ბაღში არ ხორციელდება .<br>თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, წარმოდგენილ მასალებში ხარისხის კონტროლის პროცედურები სრულად არ არის გაშლილი სტანდარტული საოპერაციო პროცედურების ფორმატში. კერძოდ, დოკუმენტაციაში არ ჩანს დეტალიზებული დეგუსტაციის პრაქტიკა, ორგანოლეპტიკური შეფასების ერთიანი კრიტერიუმები, მონიტორინგის პერიოდულობა თითოეული ეტაპისთვის და პასუხისმგებელი პირების ფუნქციების მკაფიო, არაორაზროვანი განაწილება. ტექსტში პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალშიც შეინიშნება რედაქციული ბუნდოვანება, რაც ადმინისტრაციული სიზუსტის თვალსაზრისით გასაუმჯობესებელია. შესაბამისად, ხარისხის კონტროლის მექანიზმი ფორმალურად არსებობს, თუმცა საჭიროებს მეტად კონკრეტიზებულ და ოპერაციულ გაწერას.<br>სურსათის უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების მიმართულებით დოკუმენტაცია ასახავს ძირითად მოთხოვნებს. წესში მოცემულია, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს საკვები პროდუქტების უსაფრთხო შენახვას, ფიზიკური საფრთხის მქონე სხეულებისაგან დაცვას, გადაცდენის მაღალი რისკის მქონე პროდუქტების შესაბამის დამუშავებას, კვების პროცესში ბავშვებზე მუდმივ მეთვალყურეობას და უსაფრთხო ჭურჭლის გამოყენებას. აგრეთვე მითითებულია, რომ საკვების მომზადებისას უნდა შენარჩუნდეს პროდუქტის კალორიულობა, ორგანოლეპტიკური მახასიათებლები და ძირითადი ნუტრიენტები. აღნიშნული მიუთითებს, რომ უსაფრთხო დამუშავებისა და სერვირების ზოგადი ჩარჩო დოკუმენტურად განსაზღვრულია.<br>ამასთან, შეფასებით დგინდება, რომ აღნიშნული მიმართულებითაც წარმოდგენილი მასალა უფრო მარეგულირებელი წესის დონეზეა და ნაკლებად იძლევა დეტალური დოკუმენტაციის სურათს. დოკუმენტაციაში არ იკვეთება თითოეული ოპერაციული ეტაპის მონიტორინგის, კორექციის, გადაუდებელი რეაგირების, პასუხისმგებლობების განაწილებისა და შიდა კონტროლის ცალკეული მექანიზმების საკმარისი დეტალიზაცია. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების საკითხები ასახულია, თუმცა მათი ოპერაციული სისრულე დამატებით განმტკიცებას საჭიროებს.<br>დაწესებულებას დამტკიცებული აქვს პერსპექტიული მენიუსა და კერძების კარტოთეკა, ხოლო წესში მითითებულია, რომ პერსპექტიულ მენიუსთან ერთად არსებობს პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებისა და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი და კერძების კარტოთეკა. ამასთან, წესში პირდაპირაა მითითებული, რომ კარტოთეკა უნდა მოიცავდეს კერძის ინდივიდუალურ ბარათს, მომზადების ტექნოლოგიას, ენერგეტიკულ ღირებულებას, ქიმიურ შემადგენლობას, ბრუტო/ნეტო მაჩვენებლებს და გამოსავალს. მოწოდებულ მენიუსა და კარტოთეკის დოკუმენტში ასახულია ცალკეული კერძების ენერგეტიკული ღირებულებისა და ძირითადი საკვები მაჩვენებლები.<br>თუმცა, აღნიშნულ ნიშნულზე ფიქსირდება დასაზუსტებელი გარემოებები. კერძოდ, „კვების კონტროლისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმების მარეგულირებელ წესში", რომელიც დადასტურებულია ა.(ა).ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის №12 ბრძანებით, ერთ შემთხვევაში მოხსენიებულია „10-დღიანი პერსპექტიული მენიუ", ხოლო სხვა ინფორმაცია — „2-კვირიანი საორიენტაციო მენიუ". მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფორმულირებები შინაარსობრივად ახლოს მდგომარეობით, ადმინისტრაციულად ისინი არაერთგვაროვანია, რაც შეეხება ტერმინოლოგიურ არათანმიმდევრულობას. შესაბამისად, მიზანშეწონილია ერთიანი ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და დოკუმენტში მისი თანმიმდევრული გამოყენება.<br>ასევე, წესში აღნიშნულია მხოლოდ ორი სეზონური მენიუ — შემოდგომისა და ზამთრის, რაც არასაკმარისად აჩვენებს სრული სეზონურობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, სეზონურობის ნაწილი ფორმალურად ასახულია, თუმცა სრულყოფილი წარმოდგენისთვის დამატებითი დოკუმენტური განმტკიცებაა საჭირო.<br>საერთო შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულების დოკუმენტაცია გამართულია როგორც საბაზისო მარეგულირებელი ჩარჩო და მოიცავს კვების ორგანიზების, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინების, ხარისხის კონტროლის, უსაფრთხო დამუშავებისა და პერსპექტიული მენიუს ძირითად კომპონენტებს. ამავდროულად, დოკუმენტაციის ნაწილი საჭიროებს დაზუსტებასა და გაღრმავებას, რათა სრულად და არაორაზროვნად დაადასტუროს ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა. განსაკუთრებით გასაძლიერებელია SOP-დონეზე ოპერაციული დეტალიზაცია, ალერგენების მართვისა და ჯვარედინი დაბინძურების პრევენციის პრაქტიკული მექანიზმები, ხარისხის კონტროლის ეტაპობრივი პროცედურები, ერთიანი ტერმინოლოგია და სეზონურობის სრული ასახვა.<br>ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, რომ დაწესებულებას აქვს ცალკე დამტკიცებული იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომელსაც მენიუს შემუშავების პროცესში ხელმძღვანელობითი დოკუმენტის სახით იყენებს. შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ დაწესებულებას არ გააჩნია სათანადო წესით დამტკიცებული პროდუქტების ენერგეტიკული და ქიმიური შემადგენლობის ცხრილი, რომელიც მენიუს დაგეგმვის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს.<br><br>წარმოდგენილი მასალებით ირკვევა, რომ დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი პერსპექტიული მენიუ, თუმცა დოკუმენტაციაში არ იკვეთება სეზონურობის პრინციპის დაცვა. წარმოდგენილია „2-დღიანი საორიენტაციო (პერსპექტიული) მენიუ 2023", რაც ვერ ჩაითვლება სრულფასოვან 10-დღიან ან 2-კვირიან პერსპექტიულ მენიუდ. ამდენად, აღნიშნული მოთხოვნა ნაწილობრივ არის შესრულებული, ვინაიდან მენიუს არსებობა დასტურდება, მაგრამ იგი ვერ აკმაყოფილებს მოცულობისა და სეზონურობის მოთხოვნას.<br>შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულებაში წარმოდგენილია კერძების კარტოთეკა, თუმცა მისი შესაბამისობა ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან არ არის სრულყოფილი.<br>·კერძის ინდივიდუალური ბარათი – არსებული დოკუმენტაცია წარმოდგენილია „რეცეპტურის ტექნოლოგიური რუკის" ფორმით, რაც შინაარსობრივად ახლოს დგას ინდივიდუალურ ბარათთან, თუმცა მიზანშეწონილია მისი მკაფიო იდენტიფიცირება სწორედ ინდივიდუალური ბარათის ფორმატით.<br>·შეფასებით დგინდება, რომ მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი), კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა) და ქიმიური შემადგენლობა (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) დოკუმენტაციაში ასახულია.<br>·პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო) – ამ კომპონენტის ასახვა სრულად და ერთმნიშვნელოვნად არ დასტურდება, რაც შეფასებისას უნდა ჩაითვალოს ხარვეზად. | **რეკომენდაციები:**<br>1.დაწესებულებამ გადახედოს და დააზუსტოს კვების მექანიზმის მარეგულირებელი დოკუმენტი ისე, რომ მენიუს შემუშავების წესი, მათ შორის დამტკიცებული მენიუს ცვლილების პირობები, ჩამოყალიბდეს მკაფიოდ, ერთმნიშვნელოვნად და პრაქტიკაში გამოსაყენებელი ფორმით.<br>2.დაწესებულებამ გააძლიეროს ალერგიისა და სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვთა კვების მართვის ნაწილი და უფრო დეტალურად გაწეროს შესაბამისი ინფორმაციის შეგროვების, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ მიწოდებული საკვების გამოყენებისა და უსაფრთხოების, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში რეაგირების პროცედურები.<br>3.დაწესებულებამ დააკონკრეტოს პროდუქტებისა და მზა კერძების ხარისხის კონტროლის მექანიზმები, მათ შორის მიღების, ორგანოლეპტიკური შეფასების, სინჯების აღების, შენახვის, მონიტორინგისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები.<br>4.დაწესებულებამ სრულად და დეტალურად ასახოს საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადებისა და სერვირების წესები, განსაკუთრებით გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათთან მიმართებით, ასევე განსაზღვროს კვებითი ღირებულების შენარჩუნების პრაქტიკული პირობები.<br>5.დაწესებულებამ შეიმუშაოს, დაამტკიცოს და მენიუს დაგეგმვის პროცესში გამოიყენოს პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ერთიანი ცხრილი.<br>6.დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს სრულყოფილი 10-დღიანი/2-კვირიანი პერსპექტიული მენიუ, რომელიც შესაბამისობაში იქნება დადგენილ მოთხოვნებთან და ასახავს სეზონურობის პრინციპს.<br>7.დაწესებულებამ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს კერძების კარტოთეკა და უზრუნველყოს, რომ იგი ერთმნიშვნელოვნად მოიცავდეს კერძის ინდივიდუალურ ბარათს, მომზადების ტექნოლოგიას, ენერგეტიკულ ღირებულებას, ქიმიურ შემადგენლობას, ბრუტო/ნეტო მაჩვენებლებს, თითოეული კერძის გამოსავალსა და ერთ ბავშვზე გაანგარიშებული პროდუქტების განაწილების ცხრილს.<br>8.დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსპექტიული მენიუს, რეცეპტურისა და კერძების კარტოთეკაში ასახული მონაცემების სრული ურთიერთშესაბამისობა. | რჩევები:<br>1.სასურველია, დაწესებულებამ კვების მარეგულირებელი დოკუმენტაცია პრაქტიკულ გამოყენებაზე მოარგოს და არსებული ჩანაწერები მეტად კონკრეტული და გასაგები ფორმულირებებით ჩამოაყალიბოს.<br>2.უმჯობესია, მენიუს დაგეგმვის საფუძვლად გამოყენებული მონაცემები ერთიან, დამტკიცებულ და სისტემატიზებულ ფორმატში იქნეს წარმოდგენილი.<br>3.მიზანშეწონილია, პერსპექტიული მენიუ და შესაბამისი კარტოთეკა ურთიერთშეთანხმებულად გადაიხედოს, რათა გამოირიცხოს მონაცემთა აცდენა.<br>4.სასურველია, ალერგიის, ხარისხის კონტროლისა და უსაფრთხო დამუშავების საკითხები უფრო დეტალურად და ოპერაციულად გაიწეროს.<br>5.მიზანშეწონილია, დოკუმენტაციაში გამოყენებული ტერმინოლოგია და ფორმატები ერთიანი მიდგომით მოწესრიგდეს.<br>6.უმჯობესია, ყველა აუცილებელი კომპონენტი სრულად აისახოს ისე, რომ დოკუმენტაციამ ერთმნიშვნელოვნად დაადასტუროს მოთხოვნებთან შესაბამისობა. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | მენიუს შემუშავება (მათ შორის დამტკიცებული მენიუს დღიური ცვლილების შესაძლებლობა ენერგეტიკული ღირებულების შენარჩუნებით და 0-1 წლამდე ბავშვების კვების მექანიზმი (საჭიროების შემთხვევაში)) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | მენიუს უზრუნველყოფის ფორმის რეგულირება (ადგილზე დამზადება/ მზა საკვების შესყიდვა/სხვ.) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ალერგიის ან სხვა კვებითი აუტანლობის მქონე ბავშვის კვება (კვებითი აუტანლობის ან მძიმე ალერგიის რისკის მქონე ბავშვის თაობაზე ინფორმაციის შეგროვების მეთოდები; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის საკვებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მისი გამოყენების და უსაფრთხოების საკითხები; ბავშვებისთვის, რომელთაც წარსულში ჰქონიათ ანაფილაქსია ან სხვა მძიმე ალერგიული რეაქცია, გადაუდებელ შემთხვევებში [illegible]) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | პროდუქტების და მზა კერძების ხარისხის კონტროლი | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | საკვები პროდუქტების უსაფრთხო დამუშავების, მომზადების და სერვირების, ასევე, კვების პროცესში გადაცდენის მაღალი რისკის მქონე სურსათის დამუშავების მეთოდები და კვებითი ღირებულების შენარჩუნების წესები | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 1.2 | დამტკიცებული, იმ პროდუქტების ენერგეტიკული ღირებულებებისა და ქიმიური შემადგენლობის (ცილა, ცხიმი, ნახშირწყლები) ცხრილი, რომლითაც ხელმძღვანელობს მენიუს შემუშავების დროს | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 1.3 | დაწესებულებას დამტკიცებული აქვს 10 დღიანი/2 კვირიანი პერსპექტიული მენიუ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შედგენილი აქვს 10 დღიანი/2კვირიანი პერსპექტიული მენიუს შესაბამისი კერძების კარტოთეკა, რომელიც სავალდებულოდ მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:<br>ა) კერძის ინდივიდუალური ბარათი;<br>ბ) მომზადების ტექნოლოგია (რეცეპტი და მომზადების წესი);<br>გ) კერძის ენერგეტიკული ღირებულება (კალორიულობა);<br>დ) ქიმიური შემადგენლობა (ცილა,ცხიმი,ნახშირწყალი);<br>ე) პროდუქტის დამუშავების დანაკარგები (ბრუტო/ნეტო);<br>ვ)თითოეული კერძის გამოსავალი (გასაცემი ულუფის ზომა);<br>ზ)პროდუქტების განწილვის ცხრილი ერთ ბავშვზე გაანგარიშებით. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 2 | **მენიუ დაგეგმილია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:** | | | | | | | | |
| | კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ დაწესებულებაში ჯგუფისთვის კვების მიწოდება ხდება ყოველდღიურად ერთსა და იმავე დროს, რაც დასტურდება დღის განრიგით | ■ | ■ | ■ | ■ | „საყდრის საბავშვო ბაღის" კვების პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ თითოეული ჯგუფისთვის კვების მიწოდება ყოველდღიურად ხდება ერთსა და იმავე დროს, რაც უზრუნველყოფს ბავშვების ფიზიოლოგიური რეჟიმის დაცვას და ჯანმრთელი კვების ჩვევების ჩამოყალიბებას. აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია დღის განრიგით და კვების ორგანიზების მარეგულირებელი წესით, რომელიც განსაზღვრავს კვების პერიოდულობას და დროის ინტერვალებს.<br>აღნიშნული დასტურდება დღის განრიგით, რომლის მიხედვითაც საუზმე განსაზღვრულია 09:45–10:15 საათზე, ეზოში თამაში და წახემსება — 11:20–12:20 საათზე, სადილი — 13:30–14:00 საათზე, ხოლო სამხარი — 16:00–16:30 საათზე.<br>საღმზრდელო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, დაწესებულებაში ბავშვების კვება უზრუნველყოფილია ოთხჯერადად — ორი ძირითადი კვება და ორი წახემსება. აღნიშნული სქემა სრულად შეესაბამება მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტს, რომელიც განსაზღვრავს კვების ჯერადობას 9 საათამდე დასწრების ხანგრძლივობის პირობებში. აღნიშნული დასტურდება მენიუ-ფაქტურებით, სადაც დეტალურადაა ასახული საუზმე, დილის წახემსება, სადილი და სამხარი.<br>შეფასებით დგინდება, რომ პერსპექტიული მენიუს გაანგარიშებით დღის ენერგეტიკული ღირებულების განაწილება აღნიშნულ რეკომენდებულ მაჩვენებლებს არ შეესაბამება. კერძოდ, საუზმის წილი 20%-ის ნაცვლად შეადგენს 36,80%-ს, წახემსების წილი 10%-ის ნაცვლად — 2,36%-ს, სადილის წილი 30%-ის ნაცვლად — 43,11%-ს, ხოლო შუადღის წახემსების წილი 15%-ის ნაცვლად — დაახლოებით 17%-ს. აღნიშნული მიუთითებს, რომ დღის განმავლობაში ენერგეტიკული ღირებულება კვებებს შორის დისპროპორციულად არის გადანაწილებული, განსაკუთრებით საუზმისა და სადილის გადაჭარბებული, ხოლო წახემსების მკვეთრად შემცირებული წილის გამო, რაც საჭიროებს მენიუს კორექტირებას, რათა კვებითი დატვირთვა დღის განმავლობაში უფრო თანაბრად და რეკომენდებული სტანდარტების შესაბამისად გადანაწილდეს.<br>მენიუს შეფასებით დგინდება შემდეგი:<br>-რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზით სეზონურობის პრინციპი კონკრეტულად არ იკვეთება, ვინაიდან დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ ერთი სახის მენიუ, რის გამოც ვერ დასტურდება წლის სხვადასხვა სეზონის მიხედვით პროდუქტის შერჩევისა და მენიუს ადაპტირების პრაქტიკა. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმი სრულად ვერ დაკმაყოფილდა.<br><br>-მენიუში კერძების მრავალფეროვნების პრინციპი სრულფასოვნად არ არის რეალიზებული, ვინაიდან ორ კვირიან მონაკვეთში მეორდება ერთგვაროვანი საკვები კომბინაციები. კერძოდ, ყოველი დღის საუზმე არსებითად იწყება პურით, კარაქითა და ყველით, ხოლო წახემსება ორ კვირაში ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ ვაშლით ან სხვა სეზონური ხილით. აღნიშნული მიუთითებს, რომ მენიუს სახეობრივი და კომპოზიციური მრავალფეროვნება შეზღუდულია და კრიტერიუმი სრულად ვერ სრულდება.<br><br>-საუზმე ფორმალურად მოიცავს მოთხოვნით განსაზღვრულ ძირითად კომპონენტებს, კერძოდ ერთ სასმელს — ჩაის, მარცვლეულების ჯგუფის სხვადასხვა სახეობას, მათ შორის ბრინჯის, ვერმიშელის, ჰერკულესისა და მანის ფაფებს, ასევე რძის ნაწარმს — ძირითადად კარაქსა და ყველს, ხოლო ხილი გადატანილია დილის წახემსებაზე, რაც დასაშვებია. თუმცა, მიუხედავად ფორმალური შესაბამისობისა, საუზმის მრავალფეროვნება შეზღუდულია, რძის ნაწარმის განმეორებითი გამოყენების გამო, რის გამოც კრიტერიუმი მხოლოდ ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული.<br><br>-სადილი ნაწილობრივ შეესაბამება აღნიშნულ მოთხოვნას, რადგან იგი დაგეგმილია 4 კომპონენტზე და ორ კვირიან მონაკვეთში ყოველდღიურად მოიცავს პურს, წყალსა და ძირითად კერძს. თუმცა გარნირი ყველა შესაბამის დღეზე წარმოდგენილი არ არის: ორი კვირის განმავლობაში იგი მხოლოდ 6 შემთხვევაში გვხვდება, ხოლო დანარჩენ დღეებში მის ნაცვლად მითითებულია კოტლეტი და გუფთა, რომლებიც შინაარსობრივად ძირითად კერძს წარმოადგენს და ვერ ჩაითვლება გარნირად. შესაბამისად, სადილის სტრუქტურა სრულად ვერ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმს.<br><br>-წახემსების კომპონენტი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნას, ვინაიდან მასში არ არის უზრუნველყოფილი შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულეულის, ახალი ხილის, ბოსტნეულის, რძის ან დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმის შეთავაზება იმ სახითა და მრავალფეროვნებით, როგორც ამას კრიტერიუმი მოითხოვს. შესაბამისად, წახემსება ვერ აკმაყოფილებს ჯანსაღი და დაბალანსებული შუალედური კვების სტანდარტს.<br><br>-სასმელების კომპონენტი შეზღუდულად არის წარმოდგენილი, რადგან მენიუში გამოყენებულია მხოლოდ წყალი და არ არის გათვალისწინებული სხვა დასაშვები სასმელები, მათ შორის დაბალი ცხიმიანობის რძე ან 100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე ხილის წვენი. შესაბამისად, აღნიშნული კრიტერიუმი სრულად ვერ დაკმაყოფილდა.<br>საერთო შეფასებით დგინდება, რომ მენიუს დაგეგმვისა და კვების კომპონენტების სტრუქტურირების ნაწილი მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს დადგენილ კრიტერიუმებს. მიუხედავად იმისა, რომ საუზმისა და სადილის სტრუქტურაში ფორმალურად იკვეთება რიგი მოთხოვნილი კომპონენტების არსებობა, მენიუს ანალიზი ცხადყოფს არსებით შეუსაბამობებს სეზონურობის, კერძების მრავალფეროვნების, წახემსების შინაარსობრივი სრულყოფისა და სასმელების მრავალფეროვანი შეთავაზების მიმართულებით. ასევე გამოვლენილია, რომ ცალკეული კვებითი კომპონენტები განმეორებით და შეზღუდული სახითაა წარმოდგენილი, რაც ვერ უზრუნველყოფს რაციონის მრავალფეროვნების პრინციპის სრულფასოვან რეალიზებას. შესაბამისად, მენიუ საჭიროებს დამატებით გადახედვასა და კორექტირებას, რათა სრულად იქნეს დაცული კვების ორგანიზების დადგენილი მოთხოვნები და უზრუნველყოფილი იყოს რაციონის უფრო მრავალფეროვანი, დაბალანსებული და სტანდარტებთან შესაბამისი დაგეგმვა. | რეკომენდაციები:<br>1.დაწესებულებამ გადახედოს პერსპექტიულ მენიუს და უზრუნველყოს დღის ენერგეტიკული ღირებულების კვებებს შორის გადანაწილება რეკომენდებული მაჩვენებლების შესაბამისად, რათა თავიდან იქნეს აცილებული საუზმისა და სადილის გადაჭარბებული, ხოლო წახემსების შემცირებული ენერგეტიკული დატვირთვა.<br>2.დაწესებულებამ შეიმუშაოს სეზონურობის პრინციპზე დაფუძნებული განსხვავებული მენიუები, რათა წლის სხვადასხვა პერიოდში უზრუნველყოფილი იყოს პროდუქტების შერჩევისა და რაციონის ადაპტირება სეზონური თავისებურებების გათვალისწინებით.<br>3.დაწესებულებამ გააძლიეროს მენიუს მრავალფეროვნება და თავიდან აიცილოს ერთგვაროვანი საკვები კომბინაციების განმეორებითი გამოყენება, განსაკუთრებით საუზმისა და წახემსების ნაწილში.<br>4.დაწესებულებამ საუზმის დაგეგმვისას უზრუნველყოს რძის ნაწარმისა და სხვა კომპონენტების უფრო მრავალფეროვანი შეთავაზება, რათა საუზმე მხოლოდ ფორმალურად კი არ აკმაყოფილებდეს მოთხოვნას, არამედ შინაარსობრივადაც პასუხობდეს სრულფასოვანი კვების პრინციპებს.<br>5.დაწესებულებამ სადილის დაგეგმვისას ყველა შესაბამის შემთხვევაში უზრუნველყოს გარნირის სავალდებულო კომპონენტის წარმოდგენა, რათა სადილის სტრუქტურა სრულად შეესაბამებოდეს დადგენილ მოთხოვნას.<br>6.დაწესებულებამ წახემსების კომპონენტი მოიყვანოს მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში და უზრუნველყოს შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულეულის, ახალი ხილის, ბოსტნეულის, რძისა და დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმის მრავალფეროვანი შეთავაზება.<br>7.დაწესებულებამ გააფართოოს სასმელების არჩევანი და მენიუში, წყლის გარდა, გაითვალისწინოს სხვა დასაშვები სასმელებიც, მათ შორის დაბალი ცხიმიანობის რძე და 100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე ხილის წვენი.<br>8.დაწესებულებამ მენიუს გადახედვის პროცესში უზრუნველყოს კვების კომპონენტების სტრუქტურული, კვებითი და ორგანიზაციული შესაბამისობის ერთიანი პრინციპით დაგეგმვა, რათა რაციონი პასუხობდეს როგორც რეგლამენტის ფორმალურ მოთხოვნებს, ისე ბავშვთა სრულფასოვანი, მრავალფეროვანი და დაბალანსებული კვების მიზანს. | რჩევები:<br>1.სასურველია, დაწესებულებამ პერიოდულად გადაამოწმოს მენიუს ენერგეტიკული განაწილება, რათა კვებითი დატვირთვა დღის განმავლობაში უფრო თანაბრად გადანაწილდეს.<br>2.სასურველია, მენიუს დაგეგმვისას მეტად გამოიკვეთოს სეზონურობის პრინციპი და სხვადასხვა სეზონისათვის გამოყენებულ იქნეს ერთმანეთისგან განსხვავებული მენიუები.<br>3.სასურველია, რაციონის მრავალფეროვნების გასაძლიერებლად შემცირდეს ერთგვაროვანი საკვები კომბინაციების ხშირი გამეორება, განსაკუთრებით საუზმისა და წახემსების ნაწილში.<br>4.სასურველია, საუზმისა და წახემსების კომპონენტები შეივსოს უფრო მრავალფეროვანი პროდუქტებით, რათა მათი სტრუქტურა უკეთ პასუხობდეს სრულფასოვანი კვების პრინციპებს.<br>5.სასურველია, სადილის დაგეგმვისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ყველა აუცილებელი კომპონენტის, მათ შორის გარნირის, თანმიმდევრულად უზრუნველყოფას.<br>6.სასურველია, სასმელების არჩევანი გახდეს უფრო მრავალფეროვანი და წყლის გარდა მოიცავდეს სხვა დასაშვებ ალტერნატივებსაც.<br>7.სასურველია, მენიუს შემდგომი გადახედვისას ყურადღება გამახვილდეს არა მხოლოდ ფორმალურ შესაბამისობაზე, არამედ რაციონის პრაქტიკულ დაბალანსებაზე და ბავშვთა ასაკობრივ საჭიროებებთან მის უკეთ მისადაგებაზე. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | კვების მიწოდების ჯერადობა, საღმზრდელო-საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობიდან გამომდინარე, შეესაბამება შემდეგ განაწილებას:<br><br>9 საათზე მეტი - 2 ან 3 ძირითადი კვება და 2 ან 3 წახემსება<br>9 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 2 წახემსება (მიწოდებული 4 ჯერადად ან 3 ჯერადად)<br>5 საათამდე - 2 ძირითადი კვება და 1 წახემსება<br>3.5 საათამდე - 1 ძირითადი კვება და 1 წახემსება | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ კვების მიწოდების ჯერადობის შესაბამისად კვებებს შორის დღის ენერგეტიკული ღირებულება შემდეგნაირად ნაწილდება:<br><br>საუზმე ≈20%<br>წახემსება ≈10%<br>სადილი ≈30%<br>შუადღის წახემსება ≈15%<br>ვახშამი ≈15%<br>სალამოს წახემსება ≈10% | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ პროდუქტის შერჩევისას გათვალისწინებულია სეზონურობა | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | მენიუ დაგეგმილია იმგვარად, რომ გათვალისწინებულია კერძების მრავალფეროვნება და ერთი და იგივე კერძი (მათ შორის, გადამუშავებული პროდუქტის სხვა კერძის ფორმით გამოყენება) არ მეორდება ორ დღეზე ნაკლები ინტერვალით | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | საუზმე დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: ერთ სასმელს, მარცვლოვნებს, რძის ნაწარმსა და ხილს (ხილი შესაძლებელია გადატანილი იქნას დილის წახემსებაზე) | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სადილი დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: 4 ან 5 კომპონენტს და აუცილებლად მოიცავს პურს, წყალს, ძირითად კერძსა და გარნირს | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | წახემსება დაგეგმილია იმგვარად, რომ მოიცავს: შაქრის ნაკლებად შემცველი ბურღულს/ახალი ხილს/ბოსტნეულს/რძეს/დაბალი ცხიმიანობის რძის ნაწარმს | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | სასმელად გამოიყენება წყალი/დაბალი ცხიმიანობის რძე/ხილის წვენი (100%-იანი, შაქრის დამატების გარეშე) და სხვა. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| 3 | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურა შესაბამისია შემდეგ მოთხოვნებთან (მონაცემები გამოტანილია 9 საათიანი მომსახურების შემთხვევაში, უფრო მეტი/ნაკლები დროით ბავშვის დაწესებულებაში დაყოვნების შემთხვევაში, ექსპერტმა კვების ჯერადობისა და გადანაწილების მიხედვით უნდა გამოიანგარიშოს შესაბამისი პროპორციული მოთხოვნები, ასახოს კითხვარის მე-3 სექციაში და შესაბამისად შეაფასოს) | | | | | | | | |
| | დაწესებულების 10 დღიანი მენიუ-ფაქტურის დღიური ენერგეტიკული ღირებულება საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 1292 კილოკალორია (დღიურად შესაძლებელია კალორიის ცვალებადობა +/-10 კკალ); | ■ | ■ | ■ | ■ | დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუს ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ თითოეული დღის ენერგეტიკული ღირებულება გაანგარიშებულია ერთი ბავშვის კვებაზე გათვლით. გაანგარიშებების მიხედვით, მენიუს საშუალო ენერგეტიკული ღირებულება შეადგენს 1292.6 კილოკალორიას, რაც სრულად შეესაბამება კვებით ნორმებში განსაზღვრულ მითითებულ მაჩვენებელს – 1292 კილოკალორიას დღიურად.<br>მენიუში ასახული მონაცემების საფუძველზე ცილის შემცველობის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის სიზუსტის გადამოწმება ვერ ხერხდება, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ შეიცავს შესაბამისი დაანგარიშებისთვის აუცილებელ სრულ მონაცემებს.<br>ანალოგიურად, წარმოდგენილი მენიუს საფუძველზე შეუძლებელია ცხიმის შემცველობის საშუალო მაჩვენებლის დადასტურება, ვინაიდან დოკუმენტაციაში არ იკვეთება სათანადო კვებითი მაჩვენებლები, რომლებიც აღნიშნული კომპონენტის სარწმუნო გაანგარიშების შესაძლებლობას შექმნიდა.<br>ამავე საფუძვლით, ვერ ხერხდება ნახშირწყლების შემცველობის საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლის გადამოწმებაც, რადგან წარმოდგენილ მასალაში არ არის ასახული ის მონაცემები, რომლებიც აღნიშნული კომპონენტის ზუსტ შეფასებას შესაძლებელს გახდიდა.<br>ამრიგად, წარმოდგენილი მენიუ-ფაქტურა იძლევა დღიური კალორაჟის შესაბამისობის დადასტურების შესაძლებლობას, თუმცა მაკრონუტრიენტების — ცილის, ცხიმისა და ნახშირწყლების — ნაწილში დოკუმენტური საფუძველი არასაკმარისია, რაც ამ მაჩვენებლების სარწმუნო შეფასებას ზღუდავს.<br>პური, მარცვლეული და ბურღულეული წარმოდგენილი მენიუ-ფაქტურის მიხედვით, თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში განსაზღვრულია 2846 გრამი პურის, მარცვლეულისა და ბურღულეულის ჯგუფი, რაც მნიშვნელოვნად აღემატება რეკომენდებულ 1300 გრამს. ამასთან, პურის კომპონენტი წარმოდგენილია 1250 გრამით და ხორბლის ფქვილით — 946 გრამით, ხოლო მარცვლეულისა და ბურღულეულის ნაწილი — 305 გრამით, მათ შორის მაკარონი და ვერმიშელი — 265 გრამი. ასევე, საკონდიტრო ნაწარმი, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 40 გრამს, წარმოდგენილია უფრო მაღალი ოდენობით: ორცხობილა — 80 გრამი, კანფეტი — 20 გრამი. შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფის რაოდენობრივი განაწილება დადგენილ მოთხოვნას არ შეესაბამება.<br>ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული<br>მენიუ-ფაქტურის მიხედვით, თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში ამ ჯგუფის საერთო მოცულობა შეადგენს 2660 გრამს, მაშინ როდესაც მოთხოვნილია 4300 გრამი. აქედან ხილი წარმოდგენილია 1000 გრამით, დამატებით ხილის ჩაი — 604 გრამით, ბოსტნეული — 580 გრამით, ხოლო კარტოფილი — 1080 გრამით. ანალიზი ცხადყოფს, რომ განსაკუთრებით ნაკლებია ხილისა და ბოსტნეულის მოცულობა, რის გამოც აღნიშნული ჯგუფი დადგენილ რაოდენობრივ ნორმას ვერ აკმაყოფილებს.<br>რძე და რძის პროდუქტები<br>წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში მოთხოვნილია 4870 მლ რძე და რძის პროდუქტი, მათ შორის 1500 მლ დასალევი რძე და 3370 მლ რძე და რძის პროდუქტები. თუმცა მენიუ-ფაქტურაში დასალევი რძე საერთოდ არ არის გათვალისწინებული, ხოლო რძის პროდუქტები წარმოდგენილია მხოლოდ რძის ფხვნილით — 150 გრამი და რძის პროდუქტებით — 770. შესაბამისად, აღნიშნული ჯგუფის მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება დადგენილ მოთხოვნას.<br>ხორცპროდუქტები<br>მენიუ-ფაქტურის მიხედვით, თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში მოთხოვნილია 840 გრამი ხორცპროდუქტი, მათ შორის საქონლის რბილი ხორცი — 440 გრამი, ქათმის ფილე — 200 გრამი და თევზის ფილე — 200 გრამი. წარმოდგენილი მონაცემებით კი საქონლის ხორცი შეადგენს 310 გრამს, ქათმის ფილე — 160 გრამს, ხოლო თევზის ფილე — 160 გრამს. ამდენად, ხორცპროდუქტების ჯგუფი სრულად ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნას.<br>ცხიმები<br>წარმოდგენილი მენიუ-ფაქტურის მიხედვით, თითოეულ ბავშვზე 10 დღის განმავლობაში განსაზღვრულია 220 გრამი ცხიმი, მათ შორის 100 გრამი მცენარეული ზეთი და 120 გრამი ნაღების კარაქი. ფაქტობრივად წარმოდგენილია მცენარეული ზეთი — 110 გრამი და ნაღების კარაქი — 120 გრამი. შესაბამისად, ცხიმების ჯგუფი რაოდენობრივი თვალსაზრისით ძირითადად შეესაბამება დადგენილ მოთხოვნას.<br>საერთო დასკვნა<br>ცალკეული სასურსათო ჯგუფების ანალიზი აჩვენებს, რომ წარმოდგენილი მენიუ-ფაქტურა სრულ შესაბამისობაში არ არის დადგენილ რაოდენობრივ ნორმებთან. განსაკუთრებით იკვეთება გადაჭარბება პურის, მარცვლეულისა და ბურღულეულის ჯგუფში, ხოლო დეფიციტი — ხილის, ბოსტნეულის, რძისა და რძის პროდუქტების, ასევე ხორცპროდუქტების ნაწილში. მხოლოდ ცხიმების ჯგუფი არის მოთხოვნასთან შედარებით შესაბამისი. | **რეკომენდაციები:**<br>1.დაწესებულებამ უზრუნველყოს 10-დღიანი მენიუ-ფაქტურის სრულ შესაბამისობაში მოყვანა დადგენილ კვებით ნორმებთან და გადახედოს სასურსათო ჯგუფების რაოდენობრივ განაწილებას ისე, რომ თითოეული ჯგუფი პასუხობდეს განსაზღვრულ სტანდარტულ მაჩვენებლებს.<br>2.დაწესებულებამ მენიუ-ფაქტურაში სავალდებულოდ ასახოს ცილის, ცხიმისა და ნახშირწყლების მაჩვენებლები თითოეული დღის და თითოეული კერძის მიხედვით, რათა შესაძლებელი იყოს მაკრონუტრიენტების სარწმუნო გაანგარიშება, გადამოწმება და შეფასება.<br>3.დაწესებულებამ მკვეთრად შეამციროს პურის, მარცვლეულისა და ბურღულეულის ჯგუფის საერთო მოცულობა, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება რეკომენდებულ ნორმას, და ამავე დროს საკონდიტრო ნაწარმის რაოდენობა მოიყვანოს დასაშვებ ზღვრამდე.<br>4.დაწესებულებამ გაზარდოს ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ჯგუფის მოცულობა დადგენილ მოთხოვნამდე, განსაკუთრებით ხილისა და ბოსტნეულის ნაწილში, სადაც არსებული მაჩვენებლები არსებითად ჩამორჩება სავალდებულო ნორმას.<br>5.დაწესებულებამ უზრუნველყოს რძისა და რძის პროდუქტების ჯგუფის რაოდენობრივი და სტრუქტურული შესაბამისობა დადგენილ მოთხოვნებთან, მათ შორის სავალდებულოდ გაითვალისწინოს დასალევი რძის კომპონენტი და გაზარდოს რძისა და რძის პროდუქტების საერთო მოცულობა.<br>6.დაწესებულებამ გაზარდოს ხორცპროდუქტების ჯგუფის რაოდენობა და უზრუნველყოს საქონლის ხორცის, ქათმის ფილესა და თევზის ფილეს დადგენილი მაჩვენებლებით გათვალისწინება, რათა რაციონი პასუხობდეს ცხოველური ცილის წყაროების რაოდენობრივ მოთხოვნას.<br>7.დაწესებულებამ მენიუს კორექტირების პროცესში დაიცვას სასურსათო ჯგუფების ბალანსი ისე, რომ ერთი ჯგუფის გადაჭარბება არ ხდებოდეს სხვა აუცილებელი ჯგუფების დეფიციტის ხარჯზე.<br>8.დაწესებულებამ გადახედოს მენიუ-ფაქტურის გაანგარიშების მეთოდოლოგიას და უზრუნველყოს, რომ დოკუმენტში ასახული ყველა რაოდენობრივი და კვებითი მაჩვენებელი იყოს გამჭვირვალე, გადამოწმებადი და სრულად შესაბამისი მოქმედი ნორმატიული მოთხოვნებისა.<br>9.დაწესებულებამ მენიუ-ფაქტურა გადაამუშაოს სისტემურად, რადგან არსებული სახით იგი მხოლოდ ნაწილობრივ ადასტურებს კალორაჟის შესაბამისობას, თუმცა ვერ უზრუნველყოფს რაციონის კვებითი ბალანსის, მაკრონუტრიენტული შემადგენლობისა და სასურსათო ჯგუფების რაოდენობრივი ნორმების სრულ დაცვას. | **რჩევები:**<br>1.სასურველია, მენიუ-ფაქტურის შემდგომი გადამუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასურსათო ჯგუფების რაოდენობრივ ბალანსს, რათა რაციონი უფრო ჰარმონიულად დაუახლოვდეს დადგენილ ნორმებს.<br>2.სასურველია, დოკუმენტაციაში დამატებით აისახოს ცილის, ცხიმისა და ნახშირწყლების მაჩვენებლები, რაც გაამარტივებს მენიუს კვებითი ღირებულების სრულფასოვან შეფასებას.<br>3.მიზანშეწონილია, პურის, მარცვლეულისა და ბურღულეულის ჯგუფის მოცულობის გადახედვა იმგვარად, რომ არ მოხდეს ამ ჯგუფის გადაჭარბებული წარმოდგენა სხვა აუცილებელი საკვები ჯგუფების ხარჯზე.<br>4.სასურველია, რაციონში გაიზარდოს ხილის, ბოსტნეულის, რძისა და რძის პროდუქტების, ასევე ხორცპროდუქტების წილი, რათა მენიუ უფრო დაბალანსებულად პასუხობდეს ბავშვთა კვებით საჭიროებებს.<br>5.მიზანშეწონილია, დასალევი რძის კომპონენტი ცალკე და მკაფიოდ აისახოს მენიუში, რაც რაციონის სტრუქტურულ სისრულეს გააძლიერებს.<br>6.სასურველია, მენიუს საბოლოო დამტკიცებამდე განხორციელდეს მისი დამატებითი შიდა გადამოწმება, რათა შესაძლებელი გახდეს რაოდენობრივი შეუსაბამობების დროული გამოვლენა და შესწორება.<br>7.მიზანშეწონილია, მენიუ-ფაქტურის ფორმა და შინაარსი მეტად გამჭვირვალე და ანალიზისთვის მოსახერხებელი გახდეს, რაც შემდგომ შეფასებასა და მონიტორინგს გაამარტივებს. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცილის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 50.37გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/-5 გ); | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ცხიმის შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 49.57გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5 გ); | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში 10 დღიანი მენიუს ნახშირწყლების შემცველობა საშუალო არითმეტიკული დაანგარიშებით არის 160.82 გრამი (დღიურად შესაძლებელია ცვალებადობა +/- 5გ); | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეული ბავშვზე გაწერილია 1300 გ პური, მარცვლეული და ბურღული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | პური ≈1000გ<br>მარცვლეული და ბურღულეული ≈300გ<br>საკონდიტრო ნაწარმი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ აღემატება 40გ-ს. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4300 გ ხილი, კარტოფილი და ბოსტნეული 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | ხილი ≈1300გ (მათ შორის ხილის ჩირი (არსებობის შემთხვევაში-არაუმეტეს 100გ)<br>ბოსტნეული ≈1800გ<br>კარტოფილი ≈1200გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებული მენიუ-ფაქტურაში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 4870 მლ. რძე და რძის პროდუქტი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | რძე დასალევად ≈1500 მლ.<br>რძე და რძის პროდუქტი ≈3370 მლ. | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 840გრ ხორც პროდუქტები 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | საქონლის რბილი ხორცი 440გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ქათმის ფილე 200გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | თევზის ფილე 200გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურში თითოეულ ბავშვზე გაწერილია 220გ ცხიმი 10 დღის განმავლობაში, მათ შორის აუცილებელია: | | | | | | | | |
| | მცენარეული ზეთი 100გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |
| | ნაღების კარაქი 120გ | ■ | ■ | ■ | ■ | | | | |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | **აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობა ბავშვთა კვებისთვის შემუშავებულ მენიუში** | | | | | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით კერძებში მარილის მოყენების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 3 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ულუფების შესაბამისად | ▣ | ■ | ▣ | ▣ | აკრძალული/ლიმიტირებული პროდუქტების არსებობის დადგენის მიზნით გაანალიზდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი 10-დღიანი მენიუ-ფაქტურები. შეფასება ეფუძნება თითოეული დღის რაციონის შინაარსს, პროდუქტების ტიპებსა და გამოყენებული ინგრედიენტების შედგენილობას.<br><br>დაწესებულების მიერ გამოყენებული მენიუ-ფაქტურის ანალიზის გამოვლინდა შეუსაბამობა მოქმედებს ნორმატიულ მოთხოვნებთან.<br>კერძოდ, განვითარებისა, რომ:<br>·თავისუფალი შაქრის მოხმარება ცალკეულ დღეებში აღწევს 30 გრამს, ხოლო 10 დღის ჯამური რაოდენობა შეადგენს 290 გრამს, რაც აღემატება განსაზღვრულ მაქსიმალურ დღიურ ზღვარს<br>·მარილის გამოყენება ასევე, რიგ დღეებში აღემატება ნორმას (ფიქსირდება 5 გრამი), ხოლო 10 დღის ჯამური რაოდენობა შეადგენს 37 გრამს, რაც აღემატება რეკომენდებულ დღიურ ზღვრებს.<br>მენიუში არ იკვეთება ისეთი პროდუქტები, რომელთა გამოყენება შეზღუდულია ან აკრძალულია ბავშვთა კვებაში. კერძოდ:<br>·არ ფიქსირდება კოფეინის შემცველი პროდუქტები, მათ შორის ყავა და შავი ჩაი;<br>·არ არის გამოყენებული ტკბილი, გაზიანი, აღდგენილი ან ენერგეტიკული სასმელები;<br>·არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური ან დიეტური პროდუქტები;<br>·არ იძენება გარეული ფრინველის ხორცი, იხვისა და ბატის კვერცხი;<br>·არ ფიქსირდება სოკო (კულტივირებული ან არაკულტივირებული);<br>·არ შეინიშნება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი.<br>ასევე აღსანიშნავია, რომ არ ჩანს კვების რაციონში აკრძალული საკვები დანამატები, მათ შორის: ნატრიუმის ბენზოატი (E211), ტარტრაზინი (E102), ქინოლინისებრი ყვითელი (E104), ყვითელი „მზის ჩასვლა" (E110), კარმუაზინი (E122), პონსო ალისფერი 4R (E124) და წითელი ალურა AC (E129). | **რეკომენდაცია: 1.** დაწესებულებამ უზრუნველყოს მენიუ-ფაქტურის კორექტირება იმგვარად, რომლითაც თავისუფალი შაქრისა და მარილის გამოყენება მივიდეს დადგენილ ნორმებთან; კერძოდ, გამოირიცხოს შემთხვევები, როდესაც შაქრის დღიური რაოდენობა აღემატება 25 გრამს, ხოლო მარილის — 3 გრამს, და უზრუნველყოფილია ეს მაჩვენებლების დაცვა როგორც მთელი დღის, ასევე 10-დღიანი პერიოდის განმავლობაში | | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურის მიხედვით თავისუფალი შაქრის მოხმარების მაქსიმალური დღიური დოზა არის არაუმეტეს დღიური 25 გრამის პროპორციული, მიწოდებული კვების ულუფების შესაბამისად | ▣ | ■ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კოფეინის შემცველი პროდუქტები | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ყავა და შავი ჩაი | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება ტკბილი და გაზიანი სასმელები (მათ შორის ხილის სასმელების, გაზიანი/ულკოჰოლო სასმელების, აღდგენილი სასმელების (გარდა რძისა), ენერგეტიკული სასმელების) | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება მოზრდილთათვის განკუთვნილი სპეციალური და დიეტური პროდუქტები (მაგ: ქოლესტეროლის დამწევი ან უჯრედისის მაღალი შემცველობის სურსათი და სხვ.) გარდა იმ შემთხვევისა თუ სპეციალურ საჭიროებიდან გამომდინარე მშობლის მიერ წარმოდგენილია სპეციალისტის მიერ შემუშავებული ინდივიდუალური მენიუ | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება გარეული ფრინველის ხორცი | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუ-ფაქტურაში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება იხვისა და ბატის კვერცხი | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუში არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება კულტივირებული თუ არაკულტივირებული სოკო | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მენიუშიი არ არის გაწერილი და ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება საოჯახო პირობებში მომზადებული სურსათი (გარდა იმ შემთხვევისა თუ კვებითი აუტანლობის მექანიზმში გაწერილია მსგავსი პროცედურა) | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| | ბავშვთა კვებაში არ გამოიყენება შემდეგი საკვებდანამატები:<br>ნატრიუმის ბენზოატი (E211)- კონსერვანტი<br>ტარტრაზინი(E102) - საღებავი<br>ქინოლინისებრი ყვითელი (E104) - საღებავი<br>ყვითელი "მზის ჩასვლა" (E110) - საღებავი<br>კარმუაზინი (E122) - საღებავი<br>პონსო ალისფერი 4R (E124) - საღებავი<br>წითელი ალურა AC (E129) - საღებავი | ■ | ▣ | ▣ | ▣ | | | | |
| 5 | **კვების მიწოდება და უსაფრთხოება** | | | | | | | | |
| | დაწესებულებას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი და ფინანსური რესურსი | ■ | ▣ | ▣ | ▣ | დაწესებულებას, ბავშვთა მაქსიმალური ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი აქვს შესაბამისი რაოდენობის ჭურჭელი.<br><br>შეფასებით დგინდება, რომ ბავშვების კვების პროცესზე ზედამხედველობა ფორმალურად მინიჭებული აქვს საგანმანათლებლო და/ან ჯგუფის დამხმარე პერსონალს, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ იკვეთება ამ პროცესის განხორციელების მკაფიო მეთოდოლოგია, კონტროლის ერთიანი სტანდარტი და შესრულების დამადასტურებელი მექანიზმები. შესაბამისად, ვერ დასტურდება, რომ კვების პროცესის მონიტორინგი სისტემურად, წინასწარ განსაზღვრული წესითა და დოკუმენტირებული ფორმით ხორციელდება. აღნიშნული გარემოება საჭიროებს დამატებით რეგლამენტაციასა და პრაქტიკული აღსრულების მექანიზმების განსაზღვრას | **რეკომენდაცია:**<br>დაწესებულებამ შეიმუშაოს და დანერგოს ბავშვების კვების პროცესზე ზედამხედველობის მკაფიო მეთოდოლოგია, რომელშიც განსაზღვრული იქნება მონიტორინგის წესი, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, კონტროლის კრიტერიუმები, გამოვლენილ შემთხვევებზე რეაგირების პროცედურები და შესრულების დამადასტურებელი ჩანაწერების წარმოების მექანიზმი, რათა კვების პროცესის ზედამხედველობა იყოს არა მხოლოდ ფორმალურად განსაზღვრული, არამედ სისტემურად განხორციელებადი და დოკუმენტურად დადასტურებადი. | **რჩევები:**<br>1.სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ბავშვების კვების პროცესზე ზედამხედველობის პრაქტიკული მეთოდოლოგია, რომელშიც მკაფიოდ გაიწერება მონიტორინგის წესი, პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, დაკვირვების ძირითადი კრიტერიუმები და შესრულების დადასტურების ფორმები.<br>2.სასურველია, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო და ჯგუფის დამხმარე პერსონალმა გაიაროს შესაბამისი გადამზადება, რათა კვების პროცესის ზედამხედველობა განხორციელდეს ერთიანი მიდგომით, პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე და ბავშვთა უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ინტერესების სრული გათვალისწინებით. | დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფილი შესაბამისობის გეგმა, რომელიც მოიცავს 12 თვეზე გაწერილ ინდიკატორის მიმართ დადგენილ შეუსაბამობების აღმოფხვრის აქტივობებს, აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას. აქედან გამომდინარე, ინდიკატორის შეფასება იცვლება მეტწილი შეფასებით |
| | დაწესებულებაში მუდმივად კონტროლდება ბავშვების კვების პროცესი საგანმანათლებლო პერსონალის/ჯგუფის დამხმარე პერსონალის მიერ | ▣ | ■ | ▣ | ▣ | | | | |



მ.გორგილაძე 19/05/2026

| | |
|---|---|
| **4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი** | დანართი №3 |

| | |
|---|---|
| საფირმო სახელწოდება: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება<br>პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში): საყდრის საბავშვო ბაღი | ბრძანების N: MES 6 26 0000230350, 26.02.2026 წ |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი: რაიონი ლენტეხი, სოფელი საყდარი<br>(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N) | ვიზიტის თარიღი: 18.03.2026 წ. |

**კრიტერიუმი 4.5.1. დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები**

| | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება | დასტურდება (მტკიცებულებები):<br>კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები |
|---|---|---|---|---|---|
